დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩქვალერის თემის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ლიკა გიორგაძე
წევრები:
თამარ წიწიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
ლიანა ქოქიაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ციალა ჩიტია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ინგა ჯაფარიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
სალომე არაბიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
მაკა აფრიამაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
ილონა აკობია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ციცინო თორია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
თამარ ზედგენიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
მანანა როსტომაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	ეგნატე ფიფიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩქვალერის თემის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	242735910

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	წალენჯიხა
იურიდიული მისამართი	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ჩქვალერის თემი
ფაქტობრივი მისამართი	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ჩქვალერის თემი
საფოსტო ინდექსი	5200
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	დაწესებულებას არ აქვს ვებგვერდი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	chkvaleri@teachers.gov.ge

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	591056386

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 4 23 0001015467; 21 აგვისტო, 2023 წ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	5-6 ოქტომბერი, 2023 წელი.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის,

				ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ჩქვალერის თემი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ჩქვალერის თემი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ჩქვალერის თემი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

ვიზიტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელდა 2023 წლის 5 და 6 ოქტომბერს. ვიზიტისფარგლებში განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

ექსპერტების ჯგუფმა, ვიზიტის წარმართვისთვის, შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა სავარაუდო ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეცა ვიზიტამდე.

ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების მენეჯმენტს, ადმინისტრაციულ პერსონალს და მასწავლებლებს.

ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივი ექსპერტებს (გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის ექსპერტისა, რომელიც იმყოფებოდა სკოლაში) დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ

ინტერვიუები.
ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილიდოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 120	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**ხარვეზი**
ინდიკატორი N.		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**ხარვეზი**
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი**	**ხარვეზი**

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამნა	ხარვეზი

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამნა	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

1 გარდ მეორე სტანდრტის ნაილზივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N.		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.	სკოლამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისი მასწავლებლების შერჩევა (საგნები: მუსიკა, ფიზიკური აღზრდა და სპორტი).
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის, საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას.	სკოლამ უნდა უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება; უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოსათან საგანგებო მართვის გეგმის შეთანხმება;

		სახანძრო უსაფრთხოების შესახებ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვება.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამნა**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
კომპონენტი 2.2.	კურიკულუმის განხორციელება	სკოლამ უნდა უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორიის მოწყობა და შესაბამისი აღჭურვილობის შეძენა.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამნა**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
კომპონენტი 2.2.	კურიკულუმის განხორციელება	სკოლამ უნდა უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორიის მოწყობა და შესაბამისი აღჭურვილობის შეძენა.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**რჩევა**
ინდიკატორი N1.2.2.2	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;	სასურველია, სკოლამ გადახედოს მონიტორინგის და შეფასების მექანიზმს და დააზუსტოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის/შეფასების პერიოდულობა.

ინდიკატორი N.1.2.2.3.	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;	სასურველია, მეთოდოლოგიური დოკუმენტებით განისაზღვროს სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელების შედეგების გასაჯაროების შესახებ.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი N3.1.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.	ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, სკოლამ დააკორექტიროს ორგანიგრამა, რომელზეც ვიზუალურად გამოსახულია სკოლის სტრუქტურული ერთეულები/პირები და მათ შორის სუბორდინაციული დამოკიდებულება; სასურველია, სკოლამ გადახედოს თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტს და მიუსადაგოს სკოლის რეალურ სტრუქტურას (სტრუქტურით და საშტატო განრიგით გაუთვალისწინებელი პოზიციისათვის შემუშავებული თანამდებობრივი ინსტრუქციით

		განსაზღვრული ფუნქციები გადანაწილდეს სკოლის საშტატო განრიგით განსაზღვრულ თანამდებობის პირებზე).
ინდიკატორი N3.3.1.2.	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.	სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების აღმწერი დოკუმენტი.
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სასურველია, სკოლამ შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებით აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა**	**რჩევა**

ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	სასურველია: ბუნებისმეტყველების I და II - კლასის კურიკულუმის ჩარჩოში (გაწერილია ყველა კონტექსტ-მაგალითი) პედაგოგებმა დატოვონ იმდენი კონტექსტ-მაგალითი, რამდენის განხორციელებასაც აპირებენ. III-კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მეორე თემა "სითბო" შეცვალონ თემით "ჩემი ქვეყნის ბუნება", ძირითად საკითხთან დაკავშირებულ ცნება-ქვეცნების სვეტში მიუთითონ ყველა ცნება, რომელთა დამუშავებაც ამ ძირითადი საკითხით არის შესაძლებელი, IV-კლასის კურიკულუმის ჩარჩოში რესურსების სვეტში "მაგალითები შედარებისათვის"-შეცვალონ ძირითადი საკითხის დასამუშავებლად საჭირო რესურსებით.
ინდიკატორი 2.1.2.4.	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს	სასურველია, ბუნებისმეტყველების კურიკულუმის მიზნებისთვის შეიქმნას ყველა სასწავლო თემის ფარგლებში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით.

		სასურველია, მომზადდეს სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან დაკავშირებული საკითხებთან და ქვესაკითხებზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ კონტექს- მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებში განხორციელდება კომპლექსური დავალებები.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა**	**რჩევა**
ინდიკატორი N2.1.2.4.	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს	სასურველია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილი კვლევის ინსტრუმენტების შესაბამისად სკოლას ჰქონდეს შემუშავებული კითხვარი მასწავლებლების/ მოსწავლეების/მშობლებისთვის, კითხვარი ფოკუს-ჯგუფისთვის, და სხვ. რითაც გამოავლენს მათ ინტერესებს, მზაობას, საჭიროებებს, რაც გათვალისწინებული იქნება საგნობრივი კურიკულუმების განხორციელების პროცესში.

		საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში სასურველია, შეიქმნას ყველა სასწავლო თემის ფარგლებში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით. სასურველია, მომზადდეს სამიზნე ცნებაზე და მკვიდრი წარმოდგენების შინაარსთან დაკავშირებული საკითხებთან და ქვესაკითხებზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ კონტექსტ მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებში განხორციელდება კომპლექსური დავალებები.
ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	სასურველია ფიზიკის მე-7 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში პედაგოგმა დატოვოს იმდენი კონტექსტ-მაგალითი, რამდენის განხორციელებასაც აპირებენ. რერსურსების სვეტში ნაცვლად "მაგალითები შედარებისათვის"-შეცვალოს ძირითადი

		საკითხის დასამუშავებლად საჭირო რესურსებით. მე-8 და მე-9-კლასის ქიმიის და ბიოლოგიის ჩარჩოში მასწავლებელმა გაწეროს ის კონტექსტ-მაგალითი, რომლის განხორციელებასაც აპირებს, მე-7 კლასის ბიოლოგიის ჩარჩოში, დაამატოს სავალდებულო თემები, ნაცვლად ერთისა უნდა ეწეროს 5-თემა.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა**	**რჩევა**
ინდიკატორი N2.1.2.4.	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით საგნებში, სასურველია, იმ კონტექს- მაგალითებისათვის, რომლის განხორციელებასაც აპირებს პედაგოგი, შეიქმნას ქვესაკითხებთან მიმართებით დაკონკრეტებული, სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით, განმავითარებელი შეფასების რუბრრიკები (მოლოდინების ცხრილი). სასურველია, ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, თემის შედეგების მიღწევის ინდიკატორებიდან გამომდინარე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით.
		საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმის მიზნებისთვის, სასურველია კურიკულუმის ჩარჩოში პედაგოგმა გაწერონ ის კონტექსტ-მაგალითი, რომლის განხორციელებასაც აპირებს. რერსურსების სვეტში მიუთითონ გრძელვადიან მიზნებზე

		ორიენტირებული ძირითადი საკითხის დასამუშავებლად საჭირო რესურსები. მე-10 და მე-11-კლასის ქიმიის და ბიოლოგიის ჩარჩოში მასწვლებელმა გაწეროს ის კონტექსტ-მაგალითი, რომლის განხორციელებასაც აპირებს.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

1. ინდიკატორი №1.2.1 (4): ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა ასახავდა სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებულ სკოლის ამოცანებს, თუმცა, არასრულად. სამოქმედო გეგმა ამოცანებთან ერთად ითვალისწინებდა პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს, განხორციელების პერიოდს, თუმცა, არ იყო წარმოდგენილი ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და რესურსები, რის გამოც დადგინდა ხარვეზი. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სამოქმედო გეგმა, რომელშიც ასახულია სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისი მიზნები, ამოცანები და მათ შესაბამისად დაგეგმილი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, ვადები და პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები. ექსპერტთა ჯგუფმა სამოქმედო გეგმაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, სტანდარტის ინდიკატორი მიიჩნია დაკმაყოფილებულად.

2. ინდიკატორი №3.1.2 (3): ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა ექიმის შესარჩევი კონკურსის დოკუმენტაცია, მათ შორის, სკოლის ექიმის შერჩევის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის მასალები, რომლის შესაბამისასაც, საკონკურსო კომისიაში გათვალისწინებული არ იყო დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენელი, რომელი დარგის სპეციალობების მქონე პირებსაც აქვთ სკოლის ექიმად/სკოლის ექთნად მუშაობის უფლება (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ბრძანების შესაბამისად). დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა პერსონალის სამუშაოზე აყვანის ზოგად წესში (შინაგანაწესი) განხორციელებული ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც ექსპერტთა ჯგუფმა მოხსნა ხარვეზი. ამასთან, სკოლამ წესი გაავრცელა მასწავლებლებს გარდა ყველა სხვა თანამშრომლის შერჩევის პროცესზე, რომლის აუცილებლობაც კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, თუმცა, სკოლას აქვს შესაბამისი უფლებამოსილება.

ასევე აღსანიშნავია, რომ სკოლის მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლებს ხელშეკრულებაში არ ჰქონდათ მითითებული სტატუსი/თანამდებობა (უფროსი/წამყვანი/მენტორი), რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №174/ნ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებთან. ასევე, სკოლაში დასაქმებული შვიდი თანამშრომლის (რომლებიც სამუშაოზე აყვანილები არიან 2020 ან მომდევნო წლებში) წარმოდგენილი არ იყო ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ“. აღნიშნულის გათვალისწინებით დადგინდა ხარვეზი. დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ, არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის ზოგად წესში განხორციელებული ცვლილება, რომელიც აწესებს მასწავლებლებთან გასაფორმებელ ხელშეკრულებებში სტატუსების მითითების აუცილებლობას. ასევე, წარმოდგენილი იქნა თანამშრომლებთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებები. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ“, რის საფუძველზეც ექსპერტთა ჯგუფმა მოხსნა ხარვეზი და სტანდარტის ინდიკატორი მიჩნეულია დაკმაყოფილებულად.

3. ინდიკატორი №3.1.2 (4): სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია ძირითად შემთხვევაში, შესაბამისობაშია დაკავებულ თანამდებობებთან (კანონმდებლობით და დაწესებულების მიერ დადგენილ მოთხოვნებთან). ამასთან, უნდა აღინიშნოს რამდენიმე გამოკვეთილი გარემოების შესახებ, რის გამოც სტანდარტის ინდიკატორი არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად. კერძოდ, სკოლაში დასაქმებულ ორ მასწავლებელს (მუსიკა, ფიზიკური აღზრდა და სპორტი) არ აქვს უფროსი/წამყვანი ან მენტორი მასწავლებლის სტატუსი,

ამასთან, არც ხელშეკრულებით/შეთანხმებით ან სხვა რაიმე დოკუმენტით არის დარეგულირებული პირის ვალდებულება, სამუშაოს დაწყებიდან ორი წლის ვადაში ჩააბაროს საგნის გამოცდა და გაიაროს მასწავლებლის მომზადების დისტანციური კურსი ან მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა, როგორც ამას ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი“. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ჩქვალერის თემის მასშტაბით დეფიციტია და რთულია კადრების მოზიდვა, აღნიშნული გამოწვეული იყო სკოლის მოტივაციით, როგორმე უზრუნველეყო საგაკვეთილო პროცესის განხორციელება. დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს არაუმეტეს 12 თვიან ვადაში ხარვეზის აღმოფხვრას. კერძოდ, დაწესებულება გეგმავს არაუგვიანეს 2024 წლის 10 სექტემბრისა, პოზიციებზე მასწავლებლები აიყვანოს კონკურსის გზით. აღნიშნულის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნასთან მიმართებით აფასებს, როგორც მეტწილად შესაბამისს.

4. ინდიკატორი №1.3.1 (3): დასკვნის პროექტში აისახა, რომ თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების, ასევე, საჩივრების განხილვის სისტემა სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული და დამტკიცებული და სკოლაში მოქმედი წესები არეგულირებდა მხოლოდ დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში საკითხის განხილვის პროცედურას. ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ უზრუნველყო დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა, მათ შორის, არ ყოფილა შესაბამისი რეგულაცია (თუმცა, გასაუბრების დროს დაწესებულების წარმომადგენლების მხირდან არ ყოფილა გამოგზავნილი შესაბამისი დოკუმენტი). აღნიშნულის გათვალისწინებით სტანდარტის ინდიკატორი არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად. ამასთან, დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი დამტკიცებული დოკუმენტი, რომლის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფმა მოხსნა ხარვეზი და დაწესებულება ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისი.

5. ინდიკატორი №3.4.1 (1): სკოლამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დოკუმენტი, რომელშიც დაფიქსირებულია კონკრეტული რეკომენდაციები. განსაზღვრულ ვადებში რეკომენდაციები არ იყო შესრულებული და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა სკოლას არ ჰქონდა. სკოლას ასევე არ ჰქონდა შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა უფლებამოსილ სახელმწიფო სამსახურთან. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სტანდარტის ინდიკატორი არ იქნა მიჩნეული დაკმაყოფილებული. დამატებით, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა რჩება, სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. დასკვნის პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც დაწესებულებას არაუმეტეს 12 თვის განმავლობაში დაგეგმილი აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება და საგანგებო სიტყვაციების მართვის გეგმის შეთანხმება

უფლებამოსილ სახელმწიფო უწყებასთან, ასევე, სახანძრო უსაფრთხოების შესახებ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვება, რაც რეალისტურად მიიჩნია ექსპერტთა ჯგუფმა და დაწესებულება სტანდარტის ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

6. ინდიკატორი №3.4.1 (5): სკოლას პერსონალური მონაცემების დაცვის წესი ვიზიტის ფარგლებში არ წარმოუდგენია და სტანდარტის ინდიკატორი არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად. ამასთან, დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებლებამ წარმოადგინა შესაბამისი დამტკიცებული წესი, რომლის გათვალისწინებითაც, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

7. ინდიკატორი № 3.6.3 (5): სკოლის გვედზე ვიზტის დროისათვის განთავსებული არ იყო შემდეგი ინფორმაცია: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. სტანდარტის ინდიკატორი არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად. არგუმენტირებული პოზიციის განაცხადთან ერთად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, არაუგვიანეს 24 ნოემბერს დაწესებულებამ დაგეგმა შესაბამისი აქტივობები, მათ შორის, განსაზღვრა ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი. საბოლოო დასკვნის ჩაბარების მიზნებისთვის, ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა ინფორმაცია და დაწესებულება სტანდარტის ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც შესაბამისი.

8. ინდიკატორი №4.1.2 (4): ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლას შემუშავებული არ ჰქონდა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი და უშუალოდ ხელმძღვანელობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებული რეგულაციებით. ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ სტანდარტის ინდიკატორი არ იყო დაკმაყოფილებული. შესაბამისობის გეგმასთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი დამტკიცებული რეგულაცია, რომლის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

9. კომპონენტი №2.2. (ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმი):
დასკვნის პროექტში ექსპერტთა ჯგუფმა ხარვეზის სახით დააფიქსირა, რომ სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია შესაბამისი აღჭურვილობით, როს გამოც სრულფასოვნად ვერ უზრუნველყოფს საბაზო და საშუალო საფეხურის

კურიკულუმების განხორციელებას. ამასთან, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, არაუმეტეს 2024 წლის 24 აგვისტომდე დაწესებულებას დაგეგმილი აქვს ხარვეზის აღმოფხვრა, რაც რეალისტურად მიიჩნია ექსპერტთა ჯგუფმა და დაწესებულება კომპონენტთან მიმართებით შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისიის განაცხადია: არაფორმალური განათლების გაძლიერებითა და სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხით, მოსწავლეებს შეუქმნას პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული, ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი სოციო-

კულტურული სივრცე, აღზარდოს დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული, კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედი, ზოგადსაკაცობრიო იდეალების მატარებელი თავისუფალი პიროვნება.

სკოლის ხედვაა, შვიდი წლის შემდეგ გახდეს წამყვანი და კონკურენტუნარიანი სასწავლო დაწესებულება, რომელიც თვითგანვითარებითა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს უზრუნველყოფით საკუთარ ადგილს დაიმკვიდრებს ეროვნულ საგანმანათლებლო სივრცეში.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სკოლის მისია და ხედვა შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სკოლის მისია და ხედვა უსაფრთხო, პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის შექმნაზეა ორიენტირებული. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობით არის შემუშავებული, გასულ წელს სკოლას ჰქონდა ერთწლიანი (2022-2023 სასწავლო წელი) სამოქმედო გეგმა და განსხვავებული მისიის განაცხადი, რაც დაწესებულებას ასახული აქვს თვითშეფასების ანგარიშშიც. მოგვიანებით სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობით გადამუშავდა მისიის განაცხადი. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მისიის და ხედვის განაცხადის სასკოლო საზოგადოების წევრებთან გაზიარება უზრუნველყოფილია პედაგოგიური საბჭოს და სამეურვეო საბჭოს სხდომებზე მისი განხილვით. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მისიის განაცხადის საჯარობა უზრუნველყოფილია მისი განთავსებით სკოლის ფოიეში. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ, სტატუსის აღმნიშვნელ ტერმინს (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა).

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;

სკოლის პედაგოგიური საბჭოს და სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები.

შეფასება:

- ○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ავტორიზაციის განაცხადის წარმოდგენისას სკოლას არ ჰქონდა დამტკიცებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, როგორც ამას ითვალისწინებს დღეისათვის მოქმედი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები. მოგვიანებით, მიმდინარე წლის 7 ივლისს სკოლამ უზრუნველყო სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცება. დოკუმენტი აქცენტს აკეთებს პროცესში გამოსაყენებელ მიდგომებზე: სასკოლო საზოგადოების წევრების გუნდური მუშაობა, თანამონაწილეობა, გამჭვირვალობა, სოციალური პასუხისმგებლობა, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სტრატეგიული გეგმის პროცესის წარმართვის მიზნით, სკოლის დირექტორის ბრძანებით იქმნება სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის პროექტების შემუშავებაზე, პროცესში სკოლის ფართო საზოგადოების ჩართვასა და ინფორმაციის გაზიარებაზე. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა არის შვიდწლიანი, პროცესი ციკლურია, მისი შემუშავებისას გათვალისწინებულია სკოლის წარსული გამოცდილება, დაფუძნებულია ე.წ. swot ანალიზის შედეგებზე. სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულია ხუთი სტრატეგიული მიზანი: 1. უსაფრთხო ფიზიკური და პოზიტიური სასწავლო გარემოს ზრუნველყოფა; 2. მმართველობითი პროცესების და ორგანიზაციული განვითარება; 3. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა; 5. სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება. სტრატეგიით განსაზღვრული მიზნები, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მიესადაგება სკოლის მისიას და ხედვას. ამასთან, სტრატეგიული განვითარების გეგმაში მიზნების მისაღწევად განსაზღვრული ამოცანები ნაწილობრივ დუბლირებულია და ფარავს ერთმანეთს, ასევე, მათი ნაწილი უფრო მეტად აქტივობად შეიძლება განვიხილოთ, ვიდრე ამოცანად. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** ამასთან, სკოლას მიეცა რჩევა, მოეხდინა სტრატეგიული განვითარების გეგმის რევიზია ამოცანების ოპტიმიზაციის მიზნით (სტრატეგიული განვითარების გეგმაში მიზნების მისაღწევად განსაზღვრული ამოცანები ნაწილობრივ დუბლირებული იყო და ფარავდა ერთმანეთს, ასევე, მათი ნაწილი უფრო მეტად აქტივობად შეიძლებოდა

განხილულიყო, ვიდრე ამოცანებად). რჩევა გაიზიარა დაწესებულებამ და დასკვნის პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია შესაბამისი, შეცვლილი სამოქმედო გეგმა.

3. სკოლის სამოქმედო გეგმა ერთწლიანია და დაფუძნებულია სკოლის swot ანალიზზე და სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმაზე. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა ასახავდა სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებულ სკოლის ამოცანებს, თუმცა, არასრულად. სამოქმედო გეგმა ამოცანებთან ერთად ითვალისწინებდა პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს, განხორციელების პერიოდს, თუმცა, არ იყო წარმოდგენილი ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და რესურსები, რის გამოც დადგინდა ხარვეზი. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სამოქმედო გეგმა, რომელშიც ასახულია სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისი მიზნები, ამოცანები და მათ შესაბამისად დაგეგმილი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, ვადები და პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები. ექსპერტთა ჯგუფმა სამოქმედო გეგმაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, **სტანდარტის ინდიკატორი მიიჩნია დაკმაყოფილებულად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;

სკოლის სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა;

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებს. პროცესზე პასუხისმგებელია დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგს და შეფასებას. პროცესზე პასუხისმგებელია კოლეგიური ორგანო - სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი. გათვალისწინებულია შესრულების მონიტორინგისა და შეფასების შედეგების დაინტერესებულ პირებთან გაზიარების და მათგან უკუკავშირის მექანიზმი. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია,** ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, სკოლამ გადახედოს მონიტორინგის და შეფასების მექანიზმს და დააზუსტოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის/შეფასების პერიოდულობა. კერძოდ, სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება მეთოდოლოგიის შესაბამისად, განხორციელდება წელიწადში არანაკლებ ერთხელ, ხოლო სტრატეგიული განვითარების გეგმის - წლის მანძილზე არანაკლებ ორჯერ, რაც შესაძლოა წარმოადგენდეს ტექნიკურ უზუსტობასაც.

3. სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგები, მეთოდოლოგიის შესაბამისად, უნდა განთავსდეს სკოლის ვებ-გვერდზე. თითოეულ აქტივობას, შესრულების დონის მიხედვით, შეიძლება ჰქონდეს შემდეგი სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ

შესრულდა“ ან „არ შესრულდა“. ამასთან, განსაზღვრული არ არის სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების მექანიზმი, **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია,** თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, სკოლამ განსაზღვროს სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების გასაჯაროების მექანიზმი/წესი.

4. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები, მეთოდოლოგიის შესაბამისად, გამოყენებული იქნება სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები განსაზღვრულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით (ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი; სკოლის წესდება) და პერსონალის სამუშაო აღწერილობებით. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, სკოლამ დააკორექტიროს ორგანიგრამა, რომელზეც ვიზუალურად გამოსახულია სკოლის სტრუქტურული ერთეულები/პირები და მათ შორის სუბორდინაციული დამოკიდებულება; ასევე, აღსანიშნავია, რომ სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით შემუშავებული აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტი, რომელიც ზუსტად არ მიესადაგება სკოლის საშტატო განრიგს და ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, თანამდებობრივი ინსტრუქციები გაიწეროს მოქმედი საშტატო განრიგის შესაბამისად.

2. სკოლა საჯარო სამართლის იურიდიული პირია, მისი სტრუქტურა მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულების/პირების ჩამონათვალს. სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, დირექტორის, მრჩეველთა საბჭოს, კათედრების და სხვა სტრუქტურული ერთეულების (სკოლის საშტატო განრიგის შესაბამისად სამუშაოზე აყვანილი პერსონალი) ფუნქციების და პასუსხისმგებლობების განაწილება კანონმდებლობის შესაბამისი და ლოგიკურია, უზრუნველყოფილია ყველა აუცილებელი ფუნქციის შესრულება და ამ გზით, საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის წესდება;

სკოლის ორგანიგრამა;

თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება კანონმდებლობისა და სკოლაში შემუშავებული რეგულაციების შესაბამისად. სკოლას დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც არეგულირებს სკოლაში პერსონალის დაგეგმვის, სამუშაოზე აყვანის, თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაოს მართვის და ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებს. პერსონალის მართვის პროცესში ასევე გამოიყენება სკოლის შინაგანაწესის ნორმები, რომელიც განსაზღვრავს სამუშაოზე გამოცხადების, არაეთიკური გადაცდომის შემთხვევაში საკითხის განხილვის და პასუხისმგებლობის ზომებს, ასევე, წახალისების მექანიზმებს და შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებულ სხვა

ძირითად საკითხებს. შრომის არსებითი პირობები განსაზღვრულია თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, ასევე, სკოლის შინაგანაწესი ერთობლივად უზრუნველყოფს არასასურველი შედეგების პრევენციას და საჭიროების შემთხვევაში ინტერვენციული ღონისძიებების განხორციელებას. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში მოქმედი პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვას. სკოლაში დასაქმება შესაძლებელია კონკურსის წესით, როგორც მასწავლებლისა და ექიმის, ისე ადმინისტრაციულ თანამდებობებზე დასაქმების შემთხვევაში. მასწავლებლების შერჩევის პროცესში გამოიყენება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი“, ხოლო სკოლის სამედიცინო პერსონალის შერჩევის პროცესში - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დავნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ზოგადი წესი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა ექიმის შესარჩევი კონკურსის დოკუმენტაცია, მათ შორის, სკოლის ექიმის შერჩევის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის მასალები, რომლის შესაბამისასაც, საკონკურსო კომისიაში გათვალისწინებული არ იყო დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენელი, რომელი დარგის სპეციალობების მქონე პირებსაც აქვთ სკოლის ექიმად/სკოლის ექთნად მუშაობის უფლება (ზემოთ ხსენებული 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ბრძანების შესაბამისად).

დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა პერსონალის სამუშაოზე აყვანის წესში განხორციელებული ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც ექსპერტთა ჯგუფმა მოხსნა ხარვეზი. ამასთან, სკოლამ წესი გაავრცელა მასწავლებლებს გარდა ყველა სხვა თანამშრომლის შერჩევის პროცესზე, რომლის აუცილებლობაც კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, თუმცა, სკოლას აქვს შესაბამისი უფლებამოსილება.

ასევე აღსანიშნავია, რომ სკოლის მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლებს ხელშეკრულებაში არ აქვთ მითითებული სტატუსი/თანამდებობა (უფროსი/წამყვანი/მენტორი), რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №174/ნ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებთან. ასევე, სკოლაში დასაქმებული შვიდი თანამშრომლის (რომლებიც სამუშაოზე აყვანილები არიან 2020 ან

მომდევნო წლებში) წარმოდგენილი არ არის ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ“. აღნიშნულის გათვალისწინებით დადგინდა ხარვეზი. დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ, არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენასთნ ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის ზოგად წესში განხორციელებული ცვლილება, რომელიც აწესებს მასწავლებლებთან გასაფორმებელ ხელშეკრულებებში სტატუსების მითითების აუცილებლობას. ასევე, წარმოდგენილი იქნა თანამშრომლებთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებები. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ“, რის საფუძველზეც ექსპერტთა ჯგუფმა მოხსნა ხარვეზი და სტანდარტის **ინდიკატორი მიჩნეულია დაკმაყოფილებულად.**

4. სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია ძირითად შემთხვევაში, შესაბამისობაშია დაკავებულ თანამდებობებთან (კანონმდებლობით და დაწესებულების მიერ დადგენილ მოთხოვნებთან). ამასთან, უნდა აღინიშნოს რამდენიმე გამოკვეთილი გარემოების შესახებ, რის გამოც სტანდარტის ინდიკატორი არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად. კერძოდ, სკოლაში დასაქმებული ორ მასწავლებელს (მუსიკა, ფიზიკური აღზრდა და სპორტი) არ აქვს უფროსი/წამყვანი ან მენტორი მასწავლებლის სტატუსი, ამასთან, არც ხელშეკრულებით/შეთანხმებით ან სხვა რაიმე დოკუმენტით არის დარეგულირებული პირის ვალდებულება, სამუშაოს დაწყებიდან ორი წლის ვადაში ჩააბაროს საგნის გამოცდა და გაიაროს მასწავლებლის მომზადების დისტანციური კურსი ან მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა, როგორც ამას ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი“. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ჩქვალერის თემის მასშტაბით დეფიციტია და რთულია კადრების მოზიდვა, აღნიშნული გამოწვეული იყო სკოლის მოტივაციით, როგორმე უზრუნველეყო საგაკვეთილო პროცესის განხორციელება. დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს არაუმეტეს 12 თვიან ვადაში ხარვეზის აღმოფხვრას. კერძოდ, დაწესებულება გეგმავს არაუგვიანეს 2024 წლის 10 სექტემბრისა, პოზიციებზე მასწავლებლები აიყვანოს კონკურსის გზით. აღნიშნულის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნასთან მიმართებით აფასებს, როგორც **მეტწილად შესაბამისსს.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიური დოკუმენტებით და ვიზიტის დროს გასაუბრებით სკოლის პერსონალთან, დასტურდება, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი, რასაც მოწმობს სკოლაში განხორციელებული პროექტები, თანამშრომლების მიერ ერთმანეთისათვის გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;

სკოლის შინაგანაწესი;

სკოლის პერსონალის პირადი საქმეები;

პერსონალის შერჩევის მიზნით ჩატარებული კონკურსების მასალები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ითვალისწინებს სკოლაში დასაქმებული პერსონალის შეფასების და პროფესიული განვითარების დაგეგმვის საჭიროებას. დოკუმენტის შესაბამისად, პერსონალის მართვის ციკლი მოიცავს პერსონალის საქმიანობის შეფასებას, ასევე განსაზღვრულია, რომ კათედრების დონეზე განხორციელდება მასწავლებლების საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებების დაგეგმვა. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. პერსონალის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების დოკუმენტის შესაბამისად, სკოლის თანამშრომელთა მუშაობის შეფასება მიზნად ისახავს პერსონალის განვითარების გეგმის შემუშავებას. ამასთან, დოკუმენტი ახალი დამტკიცებულია და შესაბამისი გეგმა სკოლას ჯერ შემუშავებული არ აქვს. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, **სტანდარტის ინდიკატორი ჩაითვალა დაკმაყოფილებულად.**

3. პერსონალის კარიერული ზრდა უზრუნველყოფილია სკოლის ხარისხის ჯგუფის მუშაობით და სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკით და პროცედურებით, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ორიენტირებულია სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების შეფასებაზე, პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენასა და განვითარების გეგმის შედგენაზე, ასევე, გათვალისწინებულია პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით ტრენინგების ორგანიზება, თანამშრომლობა სხვადასხვა ინსტიტუციასთან და სხვა მექანიზმები. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა ორიენტირებულია, ხელი შეუწყოს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს პერსონალის ადაპტაციის წესი, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტულ აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებს და ვადებს აქტივობებისათვის. სკოლაში დასაქმებული პერსონალი ეცნობა სკოლის შინაგანაწესს, ახალი თანამშრომელი წარედგინება სხვა თანამშრომლებს სამუშაო შეხვედრაზე, ემატება შიდასაკომუნიკაციო დახურულ ჯგუფში (სოციალურ ქსელში), გადაეცემა თანამშრომლების საკონტაქტო ინფორმაცია, ეცნობა სკოლის ორგანიზაციულ კულტურას, გადაეცემა სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული მის სამუშაო მოვალეობებთან, ხორციელდება ურთიერთმოლოდინების გაცნობა, შიდა მონიტორინგის წესების, თანამშრომლის მუშაობის შეფასების წესების გაცნობა, პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება და სხვა აქტივობები. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისებას, რაც იკვეთება სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკიდან და სხვა შიდასასკოლო რეგულაციებიდან, სკოლაში გამოცდილების ურთიერთგაზიარებიდან. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები;

სკოლის თანამშრომლის ადაპტაციის წესი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება პრინციპს: დაგეგმვა - განხორციელება - შეფასება - განვითარება. სხვადასხვა მეთოდოლოგიური დოკუმენტიდან ასევე იკვეთება, რომ სკოლა საქმიანობისას ეყრდნობა ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში დამტკიცებული მეთოდოლოგიური დოკუმენტები მოიცავს ინფორმაციას სკოლის სხვადასხვა პროცესის შესახებ (სტრატეგიული დაგეგმვა და ა.შ.), თუმცა, ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესების აღმწერი დოკუმენტი სკოლას შემუშავებული არ აქვს. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია,** თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, სკოლამ შეიმუშაოს ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესების აღმწერი დოკუმენტი, რაც ხელს შეუწყობს სამუშაო პროცესის ეფექტურად წარმართვას.

3. დასკვნის პროექტში აისახა, რომ თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების, ასევე, საჩივრების განხილვის სისტემა სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული და დამტკიცებული და სკოლაში მოქმედი წესები არეგულირებდა მხოლოდ დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში საკითხის განხილვის პროცედურას. ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ უზრუნველყო დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა, მათ შორის, არ ყოფილა შესაბამისი რეგულაცია (თუმცა, გასაუბრების დროს დაწესებულების წარმომადგენლების მხირდან არ ყოფილა გამოგზავნილი შესაბამისი დოკუმენტი). აღნიშნულის გათვალისწინებით სტანდარტის ინდიკატორი არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად. ამასთან, დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი დამტკიცებული დოკუმენტი, რომლის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფმა მოხსნა ხარვეზი და დაწესებულება ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისი.**

4. სკოლაში მოქმედი რეგულაციები (სასკოლო სასწავლო გეგმა, პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები, შინაგანაწესი, გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და სვხა) უზრუნველყოფს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების უფლებების დაცვას. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტი;

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი;

სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ვიზიტის პერიოდში დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით და სკოლის შიდა რეგულაციებით დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოება კარგად არის ინფორმირებული სკოლის მართვის პროცესებთან დაკავშირებით. სასკოლო საზოგადოების წევრებისაგან უკუკავშირის მიღების და მისი გათვალისწინების შესახებ აღნიშნულია სკოლის მეთოდოლოგიურ დოკუმენტებშიც. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი და შესაბამისად, სკოლაში მოქმედებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული კოლეგიური ორგანოები: სამეურვეო საბჭო და პედაგოგიური საბჭო, ასევე, სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა, შექმნილია მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სკოლის მეთოდოლოგიური დოკუმენტების შესაბამისად, სხვადასხვა პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, პერიოდულად

იქმნება ასევე დროებითი კოლეგიური ორგანოები (სტრატეგიული განვითარების პროცესი და ა.შ.). **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სტრუქტურა;

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შექმნილია უსაფრთხო გარემო, სკოლის შენობა აღჭურვილია ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემით, სკოლაში განსაზღვრულია უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. შენობა შემოსაზღვრულია ღობით და უცხო პირებს არ აქვთ შენობაში თავისუფლად დაშვების შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ სკოლის ორივე სართულზე გამოკრულია განრიგი, რომლის შესაბამისადაც, სკოლაში დასაქმებული პერსონალი აკონტროლებს სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეებში მოსწავლეთა უსაფრთხოდ ყოფნას. სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებულ სტანდარტთან. სკოლას ჰყავს სათანადო კვალიფიკაციის მქონე ექიმი (რომელსაც აქვს შესაბამისი უმაღლესი სამედიცინო განათლება და, ასევე, სპეციალობის სერთიფიკატი). ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა შენობის რეაბილიტაციის შემდგომი პერიოდის მიღება-ჩაბარების აქტი, რომელითაც დასტურდება, რომ შპს „გლობალ სერვისმა“ უზრუნველყო შენობის რებილიტაცია, სკოლამ და მუნიციპალური განვითარების ფონდმა მოიწონა და მიიღო შესრულებული სამუშაოები, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტი შინაარსობრივად არ წარმოადგენს შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნას. სკოლამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დოკუმენტი, რომელშიც დაფიქსირებულია კონკრეტული რეკომენდაციები. განსაზღვრულ ვადებში რეკომენდაციები არ იყო შესრულებული და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა სკოლას არ ჰქონდა. სკოლას ასევე არ ჰქონდა შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა უფლებამოსილ სახელმწიფო სამსახურთან.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სტანდარტის ინდიკატორი არ იქნა მიჩნეული დაკმაყოფილებული. დამატებით, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა რჩება, სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. დასკვნის პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც დაწესებულებას არაუმეტეს 12 თვის განმავლობაში დაგეგმილი აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება და საგანგებო სიტყვაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ სახელმწიფო უწყებასთან, ასევე, სახანძრო უსაფრთხოების შესახებ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვება, რაც რეალისტურად მიიჩნია ექსპერტთა ჯგუფმა და დაწესებულება სტანდარტის ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა, როგორც **მეტწილად შესაბამისი.**

2. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, სკოლა ეყრდნობა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტს. სკოლას არ ჰყავს მანდატური, თუმცა, განსაზღვრული ყავს სპეციალური, უფლებამოსილი პირი. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, ამავე ბრძანების შესაბამისად. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდება ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემით. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო სკოლაში უზრუნველყოფილია დამრიგებლების მუშაობით, სკოლაში ასევე მოქმედებს რეფერირების წესი, კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს სოციალური მუშაკის ჩართვას (ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში). **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის დასუფთავებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლის სამუშაო აღწერილობით უზრუნველყოფილია სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა. სკოლას ჰყავს შესაბამისი პერსონალიც. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას პერსონალური მონაცემების დაცვის წესი ვიზიტის ფარგლებში არ წარმოუდგენია და სტანდარტის ინდიკატორი არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად. ამასთან, დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებლებამ წარმოადგინა შესაბამისი დამტკიცებული წესი, რომლის გათვალისწინებითაც, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის საქმისმწარმოებელს განსაზღვრული აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს სკოლაში არსებული ინფორმაციის და დოკუმენტაციის დაცვა. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. იმის გათვალისწინებით, რომ განახლებული ავტორიზაციის სტანდარტების საფუძველზე შიდასასკოლო რეგულაციები ახალი დამტკიცებულია, სკოლაში არ არის წარმოდგენილი ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასების შედეგები და მათი გამოყენების პრაქტიკა. **სტანდარტის ინდიკატორი ჩაითვალა დაკმაყოფილებულად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება;

მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები;

სადამრიგებლო პროგრამა;

რეფერირების წესი;

სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ფლობს უძრავ ქონებას წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჩქვალერში. მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობია 5638 კვ.მ. განაშენიანების ფართობი: #1-1427.81, #2-204.8, #3 – 21.81. შენობა სკოლას სახელმწიფოსაგან გადაცემული

აქვს უვადო სარგებლობის უფლებით. სკოლის შენობა 67 წელს აშენდა და რეაბილიტირებულია 2020 წელს. სკოლის ფართი კეთილმოწყობილია, აღჭურვილია ყველა სახის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით. სკოლის ბალანსზე არსებული ინვენტარი იძლევა მოსწავლეებისთვის სრულფასოვანი საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის საშუალებას. სკოლას არ აქვს დახურული სპორტული დარბაზი, თუმცა, აქვს კეთილმოწყობილი ღია სპორტული მოედანი, რაც ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ექსპერტის შეფასებით, სკოლას შესაძლებლობას აძლევს, მიაღწიოს კურიკულუმით დასახულ მიზნებს. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი თანაბრად არის ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. მოსწავლეებს საშუალება აქვთ, ისარგებლონ ბიბლიოთეკით, სარეკრეაციო სივრცით და სხვა საშუალებებით, სკოლის ტერიტორიაზე. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს ლიფტი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სკოლის მეორე სართულზე ასვლაც. სკოლაში ასევე არის სპეციალური საჭიროების პირებისთვის ადაპტირებული საპირფარეშოები. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ეზო კეთილმოწყობილია, სკოლა მცირეკონტინგენტიანია, მოსწავლეები როგორც წესი, გაკვეთილების დასრულების შემდეგაც რჩებიან სკოლის ეზოში. სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის ბალანსზე არის კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსები - სახელმძღვანელოები, 9 კომპიუტერი, რომელთაგან 6 გამოიყენება უშუალოდ სასწავლო პროცესში. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ამონაწერი უძრავი ქონების რეესტრიდან (ს/კ:N 47.10.35.003)

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ბალანსზე არსებული კომპიუტერები გამოიყენება ადმინისტრაციის საქმიანობაში და სასწავლო პროცესში. მოსწავლეების და პერსონალის რაოდენობის და კომპიუტერების რაოდენობის თანაფარდობების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და

პერსონალისათვის, განსაზღვრულია, რომ 6 მათგანი გამოიყენება უშუალოდ სასწავლო პროცესში და სამი დაწესებულების მართვაში. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ინვენტარიზაციის აქტი.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. საქმისწარმოების წესის შესაბამისად, საქსმიწარმოების მიზნებისთვის გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (eflow), დოკუმენტბრუნვა ნაწილობრივ ასევე მატერიალური სახით წარმოებს. სკოლაში სპეციალური ჟურნალებით აღირიცხება: გასული დოკუმენტაცია, საკადრო ბრძანებები, შრომითი ხელშეკრულებები, დირექტორის ბრძანებები. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მართვის პროცესში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, მათ შორის, დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას (eflow). სკოლის მართვის პროცესში ასევე გამოიყენება Eschool სისტემა, როგორც ყველა სხვა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის შემთხვევაში. პერსონალი მუშაობის პროცესში იყენებს თანამედროვე საოფისე პროგრამებს. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ვიზიტის ფარგლებში შემთხვევითობის პრინციპით გადამოწმდა ბაზაში ასახული მონაცემები და ექსპერთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის საქმისწარმოების ინსტრუქციის შესაბამისად ხორციელდება შემოსულ კორესპოდენციებზე დროული უკუგება და ანგარიშგება. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის საქმისწარმოების წესი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომელიც არეგულირებს, თუ როგორ გეგმავს სკოლა საზოგადოების ინფორმირებას ვებგვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით. ამასთან, სკოლას აქვს საკუთარი გვერდი ვებგვერდზე (skolebi.emis.ge), ასევე, საკუთარი გვერდი სოციალურ ქსელში (facebook). **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში დამტკიცებული საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესის შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესში გამოკვეთილია საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებული უკუკავშირის სკოლის საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად გამოყენების მიზანი, რაც ცხადყოფს დაწესებულების მზაობას, იმუშაოს ამ მიმართულებით. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის გვედზე ვიზტის დროისათვის განთავსებული არ იყო შემდეგი ინფორმაცია: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი

დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. სტანდარტის ინდიკატორი არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად. არგუმენტირებული პოზიციის განაცხადთან ერთად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, არაუგვიანეს 24 ნოემბერს დაწესებულებამ დაგეგმა შესაბამისი აქტივობები, მათ შორის, განსაზღვრა ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი. საბოლოო დასკვნის ჩაბარების მიზნებისთვის, ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა ინფორმაცია და **დაწესებულება სტანდარტის ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ვებგვერდი: skolebi.emis.ge;

სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;

სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის და სკოლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულებას. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის ფინანსური რესურსების მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით. წინასწარ დამტკიცებულ ბიუჯეტში საჭიროების მიხედვით შედის ცვლილებები, ხორციელდება სკოლის სამეურვეო საბჭოს ანგარიშგება. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ბიუჯეტი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საკითხის მარეგულირებელი სპეციალური წესი სკოლას შემუშავებული არ აქვს, ამასთან, სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და გარანტიებს უზრუნველყოფს სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულება, საკოლო სასწავლო გეგმა, ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები. სკოლის შიდა რეგულაციებით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, უზრუნველყოფილია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების და გარანტიების უზრუნველყოფა. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სასკოლო რეგულაციების გამჭვრივალობაზე მეტყველებს სკოლის ფოიეში გამოკრული შინაგანაწესი, ასევე, სკოლის ყველა რეგულაციის გამჭვირვალობა და სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის ხელმისაწვდომოვბა. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან. ხელშეკრულების პირობები შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები;

სკოლის შინაგანაწესი;

სასკოლო სასწავლო გეგმა;

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;

მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლას შემუშავებული არ ჰქონდა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი და უშუალოდ ხელმძღვანელობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებული რეგულაციებით. ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ სტანდარტის ინდიკატორი არ იყო დაკმაყოფილებული. შესაბამისობის გეგმასთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი დამტკიცებული რეგულაცია, რომლის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა მოსწავლესთან დაკავშირებით სკოლაში გამოცემული ბრძანებები და დადასტურდა, რომ სკოლა იცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ რეგულაციებს. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის სერვისების შესახებ ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელსაც ეცნობა მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი ხელშეკრულების გაფორმებამდე. სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, ყველა დაინტერესებულ მშობელს აქვს შესაძლებლობა, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვამდე სკოლის ადმინისტრაციასთან დააზუსტოს ყველა საკითხი. სკოლის შენობაში საინფორმაციო დაფაზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია სკოლაში სწავლის პირობების შესახებ, სკოლის პროგრამის, სკოლაში განხორციელებული აქტივობების/პროექტების შესახებ ინფორმაცია ასევე ასახულია სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი უზრუნველყოფს, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სკოლის პროგრამების, აქტივობების, რესურსების შესახებ იყოს კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაციაც ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა როგორც გამჭვირვალე, კანონმდებლობის შესაბამისი, განახლებული და არადისკრიმინაციული. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში;

სასკოლო სასწავლო გეგმა;

მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ახალი მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას უზრუნველყოფს სკოლის დამრიგებელი, რომელიც აცნობს მოსწავლეს თანაკლასელებს და ხელს უწყობს მათ დამეგობრებას, სასკოლო გარემოს და წესებს და გამორჩეულ ყურადღებას

უთმობს სკოლაში სწავლის პირველ პერიოდში. სკოლის მიერ წარმოდგენილია შესაბამისი აქტივობების ამსახველი მასალები. **სტანდარტის ინდიკატორი, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაკმაყოფილებულია.**

2. როგორც ზემოთ აღინიშნა, სკოლის დამრიგებლების მუშაობით უზრუნველყოფილია მოსწავლის ადაპტაცია სასწავლო გარემოსთან. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად მოსწავლის კონსულტაცია და მხარდაჭერა უზრუნველყოფილია სასკოლო სასწავლო გეგმით, სადამრიგებლო პროგრამით, მასწავლებლების ფუნქციებით. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებისთვის სკოლა მოსწავლეებს უზრუნველყოფს შესაბამისი მხარდაჭერით. **სტანდარტის ინდიკატორი ჩაითვალა დაკმაყოფილებულად.**

5. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი, რომელიც ითვალისწინებს სკოლაში დამრიგებლების მონაწილეობით მხარდამჭერი ჯგუფის შემქნას. ჯგუფის ფუნქციებია:

- მოსწავლეთა შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა;
- მოსწავლეთა განვითარებისათვის ეფექტური პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის ხელშეწყობა;
- მოსწავლეთა სირთულეებისა და არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და დახმარების პროცესის ხელშეწყობა;
- მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენა და ხელშეწყობა;
- მოსწავლეებისთვის სასწავლო პროცესთან და სასკოლო აქტივობასთან დაკავშირებით ინფორმაციის დროულად მიწოდება;
- მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა;
- მოსწავლეთა ინტერესების დადგენა და ინფორმაციის შეგროვება;
- იდენტიფიცირებული პრობლემისა და საჭიროების სკოლის დირექციისათვის მიწოდება და გადაჭრის გზების შეთავაზება და ა.შ. ამასთან, სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას და ჯგუფის მუშაობის შედეგების შესახებ ინფორმაცია ჯერ არ არის წარმოდგენილი. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლეების/დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი. ამასთან, პროცესს ფორმალიზებული მხარე არ აქვს და სკოლა

მომდევნო წლიდან გეგმავს აწარმოოს სპეციალური გამოკითხვები ამ მიზნით. **სტანდარტის ინდიკატორი პირველი ავტორიზაციის ფარგლებში დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი;

მოსწავლის სკოლასთან ადაპტაციის მიზნით განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების შეთავაზების გზით. სპეციალური წესი/რეგულაცია, რომელიც საკითხს აწესრიგებს სკოლას არ აქვს, თუმცა, პრაქტიკაში ახორციელებს პერიოდულ ექსკურსიებს პროფესიულ სასწავლებლებში, აწყობს შეხვედრებს სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან და ა.შ. რაც მოსწავლეებს ეხმარება პროფესიის შერჩევაში. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას საკითხის მომწესრიგებელი სპეციალური წესი არ აქვს, თუმცა, პრაქტიკაში მშობლებთან/მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან აქვს აქტიური თანამშრომლობა, პერიოდულად აწვდის ინფორმაციას მოსწავლის კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენლების განცხადებით, კურსდამთავრებულთა არჩევანი მეტწილად განპირობებულია სკოლაში მიღებული ინფორმაციითა და გამოცდილებით, რომლის გათვალისწინებით კურსდამთავრებულთა ნაწილი პროფესიულ სასწავლებლებში განაგრძობს სწავლა, ნაწილი კი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. როგორც ზემოთ აღინიშნა, სკოლას აქვს მოსწავლეთათვის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით გარკვეული გამოცდილება, თუმცა, მექანიზმი (მაგ. კვლევა), რომლის შესაბამისადაც მოახდეს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, დღეისათვის სკოლას არ აქვს. ამასთან, დაწესებულება გეგმავს კვლევის მეშვეობით მომავალში შეაფასოს და გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შნიშვნა: ექსპერტთა ჯგუფმა იხელმძღვანელა მკიცებულებების გზამკვლევით, რომელიც სკოლას ავტორიზაციის პირველად გავლისპროცესში არ ავალდებულებს, ჰქონდესმტკიცებულებები ზემოთ მოცემული ინდიკატორის მიზნებისთვის.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, შესაბამისად, რელევანტური დოკუმენტაცია სკოლაში წარმოდგენილი არ არის. სკოლის თანამშრომლები ინფორმირებულები არიან ზოგადი რეგულაციების შესახებ რაც განსაზღვრულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. სკოლას აქვს ზოგადი ჩარჩო, რომლის შესაბამისადაც, საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს მოსწავლის ინდივიდუალურ გეგმას, მულტიდიცილინური გუნდის შეფასებისა და რეკომენდაციებისგათვალისწიენებით. **სტანდარტის ინდიკატორი ჩაითვალა დაკმაყოფილებულად.**

2. როგორც ზემოთ აღინიშნა, სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, ამასთან, სკოლის მენეჯმენტი გამოხატავს მზაობას, შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში ხელი შეუწყოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას და თანამშრომლობას, სსსმ მოსწავლის წინსვლის და მხადაჭერის მიზნით. **სტანდარტის ინდიკატორი ჩაითვალა დაკმაყოფილებულად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მტკიცებულება არ ახლავს.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას არ აქვს დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება.

2. როგორც ზემოთ აღინიშნა, დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება სკოლას არ აქვს.

3. როგორც ზემოთ აღინიშნა, დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება სკოლას არ აქვს.დასტურდება

(მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მტკიცებულება არ ახლავს.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი(დაწყებითი)

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ჩქვალერის თემის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კათედრებზე მასწავლებლებს შორის მიმდინარეობს მსჯელობა მოსწავლეთა მიღწევებზე, მათ ძლიერ და სუსტ მხარეებზე, აქვთ ორმხრივი კომუნიკაცია მშობლებთან როგორც პირისპირ, ასევე სოციალური ქსელისა თუ ელ. ჟურნალის საშუალებით, სადაც ხდება ინფორმაციის გაცვლა და უკუკავშირის მიღება. ეს პროცედურები გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ ,,კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიასა“ და სხვა დოკუმენტებში. მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. დოკუმენტის მე-3 თავში (გვ. 3) ვკითხულობთ: ,, სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშომლობის რეჟიმში ხდება. ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშორმობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას“. დოკუმენტში ასახულია, თუ ვინ და რა ფორმით მიიღებს მონაწილეობას სასწავლო პროცესის დაგეგმვაში, ვის რა ფუნქცია ექნება; როგორ მოხდება სასწავლო პროცესის შესახებ მონაცემთა შეგროვება

და გათვალისწინება; რა ფორმით აღიწერება სწავლა-სწავლების მიზნები, მეთოდები და შეფასების ფორმები. სკოლა ასევე განსაზღვრავს თუ რომელი საკომუნიკაციო არხების საშუალებით შეძლებენ კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას და მათგან უკუკავშირის მიღებას. კერძოდ, გამოიყენებენ სკოლის ვებგვერდს; ელექტრონულ ფოსტას, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემას, სოციალურ მედიას, საჯარო ღონისძიებებს - შეხვედრებს მშობლებთან. საზოგადოებასთან ურთიერთობის წესში, კერძოდ 5.2 პუნქტში ვკითხულობთ: ,,სოციალური ქსელის გვერდი ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიმოქცევის ინტერესს და ასრულებს ორ ძირითად ფუნქციას: ა) საკომუნიკაციო პლატფორმის ფუნქციას, რისთვისაც ხელმისაწვდომს ხდის სკოლის საკონტაქტო ინფორმაციას და ინტერნეტით კომუნიკაციის შესაძლებლობას; ბ) საინფორმაციო ფუნქციას, რისთვისაც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის, სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ სრული ინფორმაციის საჯაროობას;“ სოციალურ პასუხისმგებლობაზე აქცენტი კეთდება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაშიც (გვ. 4), სადაც ვკითხულობთ: ,,სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულ იქნება სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრის საჭიროებები და დაგეგმილი საქმიანობით დადებით წვლილს შეიტანს როგორც სასკოლო, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.“ ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2კურიკულუმის ჩარჩოს შექმნის პროცესში პედაგოგებმა გაითვალისწინეს 2022-2023 სასწავლო წლის ფარგლებში საგნობრივი პროგრამების განხორციელებისას გამოვლენილი ხარვეზები, მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერსები, სურვილები და შესაბამისი შინაარსი ასახეს მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმში. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, აგრეთვე პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესები. წარმოდგენილია კათედრისა და სადამრიგებლო დებულება, სადამრიგებლო პროგრამა, სკოლის მიერ შექმნილი სოციალური ქსელი, სასკოლო პროექტების დოკუმენტაცია, საიდანაც იკვეთება, რომ დაწესებულება ითვალისწინებს მოსწავლეთა და მშობლების ინტერესებს, მასწავლებლების ინიციატივებსა და წინადადებებს. აღსანიშნავია, რომ სკოლას გააზრებული აქვს ამ საკითხის მნიშვნელობა. ახალ კურიკულუმებში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების (მოსწავლე, მასწავლებელი, ადმინისტრაცია, მშობელი, თემი) ინტერესები, პრიორიტეტები, მისი რეალიზების მექანიზმები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3.. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმი, რომელის შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ სასკოლო საზოგადოების წევრები, მათ შორის მშობლები და სკოლის ადმინისტრაცია, რაც დასტურდება სასკოლო სასწავლო გეგმით, პედსაბჭოსა (სხდომის ოქმი N1, 04.09.2022) კერძოდ, ინტერვიურებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ტარდებოდა მიზნობრივად დაგეგმილი შეხვედრები სკოლაში კათედრის წევრებთან, პედაგოგები აქტიურად ესწრებოდნენ სასკოლო საზოგადოებისათვის მხარდაჭერის გარე ღონისძიებებს (ტრენინგებს, შესაბამისი საგნობრივი ჯგუფებისთვის გამიზნულ სემინარებს და სხვა). სკოლაში არსებობს მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული დამრიგებლის სამოქმედო გეგმები. მოსწავლეთა ჩართულობით ადგენენ სადამრიგებლო საათის შინაარსს. კლასის ხელმძღვანელების დახმარებით მშობლები ჩართული არიან სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ამისთვის იმართება მშობელთა კრებები, სადაც განიხილება სწავლა-სწავლების მიზნები, სასკოლო კურიკულუმი, სასწავლო რესურსების გამოყენებისა და შეფასების პრინციპები. ასევე, განიხილება, თუ რა ფაქტორები უწყობს ან უშლის ხელს მშობლების სასწავლო პროცესში ჩართვასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებით მათი შეხედულებებისა და ინტერესების შესწავლას. ამ ეტაპზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში იკვეთება მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების ინტერესების გათვალისწინების მაგალითები და ჩართულობა. სასკოლო საზოგადოების ინტერესები რომ ასახული უნდა იყოს სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში დასტურდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში, კერძოდ მუხლი 2-ში ვკითხულობთ: სკოლის მისიით დასახული მიზნების მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფს ,, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკების, წესების და პროცედურების შემუშავებას, განხორციელებასა და შეფასებას. აღნიშნულ პროცესებში ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის მოსწავლეებს, სკოლის პერსონალის, კურსდამთავრებულების, სასკოლო საზოგადოების და თემის ჩართულობას. ჩართულობა უზრუნველყოფს სკოლაში მიმდინარე პროცესების საჯაროობას, ეფექტიანობას და შედეგზე ორიენტირებას“.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მოწოდებულ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ დოკუმენტებზე დაყრდნობით, შემუშავდა დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები. ამასთან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტიდანაც იკითხება, რომ სასკოლო საზოგადოება მუდმივად ინფორმირებულია სასწავლო პროცესში არსებულ გამოწვევებსა თუ მიღწევებზე, ტარდება ინდივიდუალური შეხვედრები დაინტერესებულ პირებთან, ტარდება მშობელთა კრებები, სოციალური ქსელის გამოყენებით

ზიარდება საჭირო ინფორმაცია იმისათვის, რომ სასკოლო კურიკულუმების მიმართ სასკოლო საზოგადოების წევრებს ჰქონდეთ მეტი მიკუთვნებულობის განცდა. სკოლა იაზრებს სასკოლო საზოგადოების როლს არსებული კურიკულუმების გაზიარებაში და ამ გზით ხარისხიანი სასწავლო პროცესის წარმართვაში. კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში, მუხლი 3, პუნქტი 2, (გვ.6) ვკითხულობთ: ,,საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხი გამომდინარეობს სასკოლო საზოგადოების წევრთა კომპეტენციისგან, პასუხისმგელობისგან და ეთიკური ქცევისგან.“ სკოლა გამოხატავს მზაობას, მხარი დაუჭიროს მოსწავლეთა ინიციატივებს, პრობლემების იდენტიფიცირებას, ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების გამოვლენას, უზრუნველყოს სასკოლო ცხოვრებაში მათი ჩართულობა, ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ: **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;

საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი;

სკოლის მიერ შექმნილი სოციალური ქსელი;

სადამრიგებლო დებულება;

სასკოლო პროექტების დოკუმენტაცია;

მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი;

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;

საბჭოს სხდომის ოქმი (N1, 04.09.2022).

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგანაც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ, ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაძლებლობებს. შემუშავებულ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის წინარე ცოდნა, კონსტრუქტივიზმზე დაშენებული ცოდნის მიღება. დაწყებითი საფეხურის უცხო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, თემები და კომპლექსური დავალებები ეყრდნობა მოსწავლეთა და მასწავლებელთა წინარე გამოცდილებას და პრაქტიკას. რაც განაპირობებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესში. უცხო ენის დაწყებითი საფეხურის საგნების კურიკულუმის ჩარჩო, ცხრილებში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სავალდებულო თემები, საკითხები და ცნებები და ქვეცნებები შევსებულია მართებულად, ასევე სწორად არის ჩამოყალიბებული კომპლექსური დავალების იდეები და კონტექსტ მაგალითები **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
2. სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის/მტკიცებულებების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები, დაფარულია სავალდებულო

თემები, სამიზნე ცნებები, რაც ორიანტირდება გლობალურ ფუნქციური უნარების ხელშეწყობასა და განვითარებაზე კომპლექსური ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ გააქტიურებას , არამედ ხელს უწყობს მათ გააზრებასა და გაცნობიერებაში კურიკულუმში ასახული საგნობრივი საკითხები, რესურსები, კონტექსტ-მაგალითები და კომპლექსური დავალებების იდეები იძლევა გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) და მაკრო ცნებების გააქტიურების საფუძველს,. ასევე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიან მიზნებს, მაკრო ცნებებსა და ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებს. ყურადღება ექცევა საგანთა შორის ინტეგრირებას, როგორც ფორმალური ასევე, არაფორმალური განათლების ფარგლებში. რასაც ადასტურებს მოსწავლეებზე ორიენტირებული გაკვეთილები და პროექტები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია,რომ სკოლაში სასწავლო პროცესი მეტნაკლებად იგეგმება დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებით,რაც გულისხმობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასაწავლო პროცესში. ზოგიერთ საგანში სწავლა-სწავლების პროცესი ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის პროგრესზე.ამ მიზნით სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია დიფერენცირებული სწავლა-სწავლების ძირითადი პრინციპები და სტრატეგიები: მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები, საჭიროებები, შესაძლებლობები. შეთავაზებულია სასწავლო მასალები და რესურსები,რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას. მასწავლებელი საკითხის დამუშავებისას მოსწავლს აძლევს არჩევანის უფლებას, წარმოადგინოს დავალება სასურველი ფორმატით (ესე,პოსტერი,პრეზენტაცია ,კომიქსი). ასევე ,ტარდება გაკვეთილები დიფერენცირებული მიდგომების სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით(სასწავლო მენიუ,გაჩერებებით სწავლა,რაფთი და სხვა).ამ გზით იქმნება მრავალფეროვანი პროდუქტები და მოსწავლეებსაც საშუალება ეძლევა, გამოხატოს თავისი ცოდნა სრული ფორმატით. მომავალი სასწავლო წლიდან ამ მიმართულებით სკოლა აქვს მზაობა უზრუნველყოს თითოეული მოსწავლის მაქსიმალური ჩართულობა სასწავლო პროცესში. დაბალი მზაობის მოსწავლეებისთვის შეიქმნება კომპლექსური დავალებების ადაპტირებული ვერსიები. (ამ ეტაპზე სკოლაში სსსმ მოსწავლე არ არის) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. დაწყებითი კათედრა სასწავლო წლის სასაწყისში ქმნის შეფასების რუბრიკებს (ტექსტის გაგება-გააზრება,წერა, კითხვა, პრეზენტაცია, დისკუსია ჯგუფური მუშაობა). პირველ-მეოთხე კლასებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. მე5-მე-6 კლასებში განმსაზღვრელი შეფასება. განხორციელებული კომპლექსური დავალებები ფასდება განმავითარებელი შეფასებით. რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. იგი ახდენს თითოეული

მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას ვკითხულობთ სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში ..სკოლა გეგმავს მომავალში განმავითარებელი შეფასების აქტიურ გამოყენებას სასწავლო პროცესში, გარდა ამისა გეგმავს შეფასების პროცესშ მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის ზრდას,კერძოდ მათი თანამონაწილეობით შეფასების რუბრიკების შექმნას. ამ ეტაპზე სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს ,თუმცა ახალი სასწავლო წლისთვის ირჩევს განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელს .ამას ადასტურებს რიგ საგნებში წარმოდგენილი გამნმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5.. სასკოლო კურიკულუმისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას. მიუხედავად იმისა რომ სკოლა ჩართული არ იყო ახალი სკოლის მოდელში, რამდენიმე მასწავლებელმა მოისმინა შესაბამისი ვებინარები და დაიწყო კომპლექსური დავალებების განხორციელება თავის საკლასო სივრცეში,დაუგროვდათ საინტერესო გამოცდილება ,რაც ასეხულია მათს პორთფოლიოებში.ამ წარმატებულ გამოცდილებას სკოლა ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში. სასწავლო წლის ბოლოს შეაფასებენ მასწავლებელთა პორტფოლოიებს ,მოსწავლეთა ნამუშევრებს,დავალებებს სკოლა გეგმავს ასევე კვლევის განხორციელებას კითხვარების საშუალებით. კვლევის შედეგების , წინარე გამოცდილების (წარმატებისა და გამოწვევების) გათვალისწინებით, სასკოლო კურიკულუმი გადამუშავდება და განახლდება ვკითხულობთ სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ,რომ სკოლას გააჩნია მზაობა მომავალში სასწავლო პროცესები დაგეგმოს წინარე გამოცდელებებისა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის თვითშეფასების ფორმა

საგნობრივი კურიკულუმები

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

რესურსი N12;

მასწავლებელთა პორთფოლიოები

ასწავლებლებთან გასაუბრება

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ჩქვალერის საჯარო სკოლის პედაგოგების მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები კონტექსტ-მაგალითის სახით და კომპლექსური დავალება იდეის დონეზე. კომპლექსური დავალების კონტექსტ-მაგალითი, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია პრობლემის, დილემის გადაჭრაზე, მოსწავლეებს დააფიქრებს, შემოქმედებით პროცესში ჩართავს, ერთი და იგივე კონტექსტ-მაგალითი მოსწავლეებმა შეიძლება სხვადასხვა კუთხით განიხილონ, პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზა მოძებნონ, გამოთქვან ვარაუდები, მოსაზრებები და შექმნან სხვადასხვა ვარიაციები, რაც ხელს უწყობს მათ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. როგორც ვიზიტის დროს პედაგოგების მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალების მატრიცებიდან გაირკვა, კურიკულუმში ჩაშენებულია მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის სხვადასხვა, მათ შორის შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. შემოქმედებით უნარებს ავითარებს პროდუქტის შექმნაც, მოსწავლეები ქმნიან ბუკლეტებს, პოსტერებს, პრეზენტაციებს, პლაკატებს, წერენ სამეცნიერო სტატიებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, სხვადასხვა სახის ელექტრონულ რესურსებს, ვირტუალურ ლაბორატორიას, სკოლას აქვს კომპიუტერების ოთახი, რომელსაც მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად აქტიურად იყენებენ. გეგმავენ და ახორციელებენ ტექნოლოგიების გამოყენებით მრავალფეროვან აქტივობებს. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ მიმდინარე წელს პედაგოგები უფრო კომპლექსურად მიუდგებიან სასწავლო პროცესს და ყველა მასწავლებელი ერთნაირად შეეცდება რომ სასწავლო პროცესი მუდმივად იყოს ინტერაქტიური, განახლებადი და შემეცნებითი. სკოლაში მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. ისინი მონაწილეობენ სკოლის მიერ დაგეგმილ პროექტებში, აქტივობებში, არაფორმალურ საგანმანათლებლო/კულტურული/სპორტულ ღონისძიებებში. მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარები ჩანს მათ მიერ შექმნილ ნახატებში, რომლებიც ამშვენებდა სკოლის კედლებს, სხვადასხვა პროექტის დროს დამზადებულ ხელთნაკეთ ნივთებში, ფოტო-მასალაში და სხვა. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური გარემო, მოსწავლეებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება/რეალიზება. **ინდიკატორი შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. ჩქვალერის საჯარო სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ძაწყებითი საფეხურის მასწავლებლები თემატური დაგეგმვისას აქცენტს აკეთებენ ისეთი კომლექსური დავალებების შერჩევაზე, სადაც კონტექსტი მოსწავლისთვის არის ნაცნობი, მოსწავლეს უადვილდება მისთვის

ნაცნობი პრობლემის გადაჭრა. შეუძლიათ შექმნან და წარმოადგინონ მსგავსი საინტერესო პროდუქტი. ეს კარგად ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილ ეტაპებში, რომელიც მოსწავლეს უადვილებს ახალი ინფორმაცია დაუკავშიროს წინარე ცოდნას და ისე გაიაზროს საკითხი. ეტაპები ისეა გააზრებული, რომ ყოველი ეტაპი საფუძველია მომდევნო ეტაპისათვის, რაც უქმნის მოსწავლეს შესაძლებლობას, რომ მისი გამოცდილება იყოს უწყვეტი. კურიკულუმებში სრულად გააზრებული და გათვალისწინებულია მოსწავლეების წინარე გამოცდილება, რომელიც ეყრდნობა კონსტრუქტივისტულ პრინციპს. მასწავლებელთა თქმით, ისინი აპირებენ , რომ მათი მუშაობა დაეყრდნოს პროექტულ სწავლებას, სადამრიგებლო საათებში ასახული იქნება ის თემები და აქტივობები, რომელიც დახმარებას გაუწევს მოსწავლეებს, დაინახონ კავშირი ცხოვრებასთან. სწავლების პროცესისადმი ასეთი მიდგომა ეყრდნობა კონსტრუქტივისტულ სწავლებას, რომლის ძირითადი მიზანია მოსწავლეებს განუვითაროს ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით ახალი ინფორმაციის შეგროვება, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, დამოუკიდებლად აზროვნება, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით პრობლემის გადაჭრა და ძველზე დაშენებით ახალი ცოდნის კონსტრუირება – შენება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, თუ როგორ იყენებენ კონსტრუქტივიზმის პრინციპს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. ჩქვალერის საჯარო სკოლის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალების მიმდინარეობა იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მოსწავლემ შეძლოს და გააცნობიეროს საკუთარი სწავლის პროცესის მართვა. შეაფასოს და გააკეთოს მონიტორინგი . მოსწავლეს დავალების შესრულების ეტაპზე უწევს კონკრეტული ამოცანის მოთხოვნების მიღება , მისი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიების მოძებნა და გამოყენება. მასწავლებლები გაკვეთილის პროცესში ხშირად იყენებენ ე.წ. გასასვლელ ბარათებს, თვითშეფასების ფურცლებს, ასევე დაწყებით საფეხურზე ხშირად იყენებენ სტრატეგიას „მე-მასწავლებელი“ სადაც მოსწავლეებს ეძლევა საშუალებას რომ თავი მოსინჯონ მასწავლებლის როლში, იყვნენ გზამკვლევები როგორც საკუთარი თავისთვის, ისე მეგობრებისთვის. მათ აქვთ საშუალება თავადვე გაასწორონ საკუთარი ნამუშევრები, აწარმოონ თვითშეფასების დღიურები და ა. შ.სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. მოსწავლე ჩართულია ისეთ აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. ბუნებისმეტყველების კათედრა გეგმავს კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, ერთი და იგივე კრიტერიუმი მუშავდება მრავალფეროვანი

აქტივობებით, ინფორმაცია ცხრილების, დიაგრამების საშუალებით, გრაფიკულად, მოდელებით, მათემატიკური ფორმულებით და სხვა, მიეწოდება , მოსწავლეს ეძლევა არჩევანის საშუალება, ანუ ის თავად არის პასუხისმგებელი საკუთარი სწავლის პროცესზე. შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე, რის შედეგად მოსწავლე სწავლობს, როგორ დაგეგმოს საკუთარი სწავლა-სწავლების პროცესი. **ინდიკატორი შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. ჩქვალერის საჯარო სკოლის პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ მათი საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემული თემები/საკითხები, მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). წარმოდგენილი აქტივობები მოსწავლისგან მოითხოვს არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას, არამედ პროცედურულსაც და პირობისეულსაც. მაგალითად, კომპლექსური დავალების მიხედვით „ ხსნართა ნაჯერობა და კონცენტრაცია“, მოსწავლეებმა სახელმძღვანელოდან მიიღონ დეკლარატიული ცოდნა ხსნარების შესახებ, უნდა შეასრულონ პროცედურები, კერძოდ დაამზადონ ნაჯერი, უჯერი, ზენაჯერი ხსნარები, სხვადასხვა კონცენტრაციის ხსნარები, მიღებული ცოდნა დაუკავშირონ ყოფა-ცხოვრებას, განმარტონ, რა მნიშვნელობა აქვს ხსნართა ნაჯერობას და კონცენტრაციას ყოფა-ცხოვრებაში, როგორ უნდა დაამზადონ მაგ.ფიზიოლოგიური ხსნარი? შექმნან პრეზენტაცია რომელსაც წარმოადგენენ აუდიტორიის წინაშე. კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალების იდეებიც სწორედ ამას მოწმობს. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებები აცნობიერებენ ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარების საჭიროებას და 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსური დავალება ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. **ინდიკატორი შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. ჩქვალერის საჯარო სკოლის პედაგოგები პირად შეხვედრებსა და საგნობრივ ოქმებში აფიქსირებენ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას, დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით,ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რათა მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. ცოდნის სამი კატეგორია და ცოდნათა ურთიერთდაკავშირება მოსწავლეებში სიღრმისეული ცოდნის მიღების წინაპირობაა, ამიტომ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებით პედაგოგები ეხმარებიან მისწავლეებს სიღრმისეული, ხარისხიანი ცოდნის მიღებაში. პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგები შექმნიან კომპლექსური ბუნების შემაჯამებელ ტესტებს, გრძელვადიანი მიზნების-ცნებების მიმართ, რომელიც მიმართული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიის

გააზრებაზე, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაზე. შესაბამისად მოხდება სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული სამიზნე ცოდნების ურთიერთდაკავშირებულად შესწავლა. ასეთი მიდგომით მოსწავლეებში გაიზრდება გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები, რაც წარმატებული სწავლის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორია. მასწავლებლები დაწყებით საფეხურზე ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, პროექტებს, რაც მოსწავლეში ცოდნის ურთიერთდაკავშირებას უწყობს ხელს. პედაგოგებს აქვთ მზაობა, აღნიშნული მიდგომები, წინარე გამოცდილება და ახალი მიგნებები გათვალისწინებულ იქნას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის ჩარჩოები, საგნობრივი პროგრამები

კათედრის ოქმი კურუკულუმის განხორციელების შესახებ.

განხორციელებული კომპლექსური დავალებები.

მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიში;

მასწავლებლის მიერ განხორციელებული კომპლექსური დავალების რეფლექსია

განხორციელებული კომპლექსური დავალებები და საკოლო სასწავლო პროექტები.

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

მასწავლებელთა პორტფოლიოები

მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებსა (რესურსებს,მასალას) და საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. მნიშვნელოვანია რეალიზებული კომპლექსური დავალებები და მათზე რეფლექსია, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, აგრეთვე, საგაკვეთილო აქტივობები გააზრებული უნდა იყოს მიზანზე. წარმოდგენილი დოკუმენტებითა და პედაგოგებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს თამაშობს სკოლაში არსებული ნორჩ მკითხველის თეატრი, პროექტი-ცხელი შოკოლადი, სხვასხვადასხვა ლიტერატურული ღონისძიება, რომელიც, ასევე, ხელს უწყობს მოსწავლეებში მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. სკოლის მიერ მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩო , რომელშიც გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას". გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ემპათიური გრძნობების ჩამოყალიბებისათვის, ფსიქოსოციალური განვითარებისათვის სკოლა ახორციელებს საქველმოქმედო პროექტს-დავეხმაროთ თანატოლებს, აწყობენ ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვას და სხვ. მუშაობა ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ ზრდას, ფსიქო-სოციალურ განვითარებას, მოსწავლეებში ემპათიის გრძნობის გაზარდას. სკოლას წარმოდგენილი აქვს სადამრიგებლო პროგრამა, სადაც მკაფიოდაა გაწერილი დამრიგებლის როლი მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. **აღნიშნული ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან და აქვთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება, ამასთანავე წარმოდგენილია კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე დაფუძნებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, განმსაზღვრელი შეფასების ზოგადი რუბრიკები. კათედრის სხდომებზე იხილავენ შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმებს. ათედრა ახალ სასწავლო წელს გეგმავს სადიაგნოსტიკო წერის ჩატარებას ყველა კლასში. მოსწავლეებისთვის მიმართავენ ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკებს. პედაგოგები მზად არიან, მუშაობა გააგრძელონ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მიმართულებით ყველა თემასთან მიმართებით, აკვირდებიან მოსწავლეთა მიღწევებს, გეგმავენ და ახორციელებენ შემაჯამებელ ტესტირებებს . **აღნიშნული ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია კათედრის განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები , რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს, შესაბამისად. შეფასება არის ვალიდური და სანდო. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით ყველა თემატურ ერთეულზე მორგებულია ავთენტური შეფასების რუბრიკები,რომელიც პასუხობს ესგ-ის საგნობრივ და მიემართება გრლევადიანი მიზნებისკენ-ცნებებისკენ . შეფასების რუბრიკების გაზიარება სასკოლოს საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობით უზრუნველყოფს გამჭირვალეობას, ობიექტურობას და სამართლიანობას. სასკოლო საზოგადოებას დაკვირვების საშუალება მიეცემა გაზიარების შემდეგ. ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

5.სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტში/ დანართებში იკითხება, რომ სკოლაში არსებობს შეფასების სისტემა, რომლითაც ხდება მოსწავლეთა მიღწევების შეფასება და პროცესის ანალიზი. სამომავლოდ სკოლა დახვეწს და შემიმუშავებს შეფასების ვერიფიკაციის ისეთ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს საფეხურის შედეგების სტატისტიკურ ანალიზს . **ინდიკატორი შეფასდა როგორც დადებითი.**

6…. სკოლა მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას , ამ ეტაპზე სკოლა მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. თუმცა გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა მომავალში იზრუნებს ამ საკითხის მოგვარებაზე და უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. შესაბამისად გამოიკვეთა სკოლის მზაობა ამ საკითხთან მიმართებაში,რაც ექსპერტთა ჯგუფს აძლევს საშუალებას, სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეაფასოს დადებითად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- სასწავლო პროექტები;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

- ჩატარებული ვერიფიკაციის
- დამადასტურებელი
- დოკუმენტაცია;
- მოსწავლეთა მიერ
- შესრულებული დავალებები;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები;
- შეფასების მასალები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მხარდამჭერ და მიმღებლობით სასწავლო გარემოს. კურიკულუმზე მუშაობისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, უნარები, ასევე მშობელთა ინტერესები. გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას რომ იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა , იგეგმება და ხორციელდება საკლასო და სასკოლო ღონისძიებები, არაფორმალური განათლება მოსწავლეს უჩენს ნდობის, დაცულობის, მიმღებლობის განცდას. ამას ადასტურებს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე ორიენტირებული თანამშრომლობა. მასწავლებლებს შორის ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, რჩევების მიცემა და გამოცდილების გაზიარება. პედაგოგების მიერ კოლეგების მიმართ გაცემული უკუკავშირი ძირითადად პროგრესსა და განვითარებაზეა ორიენტირებული. სკოლაში

შემუშავებული აქვთ მოსწავლეთა ინიციატივების-მხარდაჭერის დოკუმენტი, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეების მიზანია მოსწავლეთა მხარდაჭერის, ინფორმირებულობის, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის ხელშეწყობა, არსებული სირთულეების, საჭიროებები და ინიციატივების იდენტიფიცირების მიზნით შესაბამის ღონისძიებებისა და აქტივობების განხორციელება. ასევე შემუშავებული აქვთ პერსონალისადაპტაციის წესის მარეგულირებელი დოკუმენტი. ეს ყველაფერი, კი მხარდამჭერი და პოზიტიური გარემოს დასტურია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესი იგება მოსწავლეზე ორიენტირებულად. სწავლება მიმდინარეობს კომპლექსური დავალებების მეშვეობით, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. დაგეგმვის პროცესში ყოველთვის ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, საჭიროებებს, ინტერესებს და შესაძლებლობებს. პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებულ სწავლების მეთოდებსა და მიდგომებს. თვითშეფასების ანგარიშიდან და ინტერვიუებიდან ჩანს, რომ მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება პროგრესზე, რომელიც იზომება არა დაგროვებული ფაქტობრივი ცოდნით, არამედ, მოსწავლეთა კომპეტენციებით. სკოლა ახორციელებს სხვადასხვა სახის სასწავლო პროექტებს, ატარებს ღონისძიებებს და გეგმავს ექსკურსიებს. სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, რომლის ნებისმიერი აზრი მისაღები და წახალისებულია მასწავლებლის მიერ. სკოლას გააზრებული აქვს, რომ დაწყებით საფეხურზე მნიშვნელოვანი ასპექტია მოსწავლის საჭიროების მუდმივი მონიტორინგი, მათი ინეტერსების იდენტიფიცირება და შესაფერისი აქტივობების დაგეგმვა. ამიტომაც, სამომავლოდ ამ მიმართულებით გეგმავს მეტად გააქტიურებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. დაგეგმილი კურიკულუმები მიზანმიმართულია მოსწავლეთა გლობალური ფუნქციური უნარების, მათ შორის კოლაბორაციისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე. გასაუბრებებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება სასწავლო პროცესში სხვადასხვა აქტივობები ისე წარმართონ, რომ შეიქმნას პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო. სკოლაში დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა შესაძლებლობას ქმნის ერთობლივად განისაზღვროს წარმატებების წინაპირობები და პრობლემების გადაჭრის გზები, ასევე წარიმართოს სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის სხვადასხვა პერსპექტივიდან ჩართვას კურიკულუმის შემუშავებაში. სკოლისთვის დამახასიათებელი თანამშრომლობა და გუნდურობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. კურიკულუმებში მოცემული საკითხები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში. განმავითარებელი შეფასებებისა და კომენტარების საშუალებით კი ხდება მოსწავლეთა მხარდაჭერა სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს იმაზე, თუ პრაქტიკულად კოლეგები და დირექცია როგორ უწყობენ ხელს პოზიტიური კლიმატის შექმნას კლასის დონეზე სადამრიგებლო საათის ჩატარებით,ხოლო სკოლის დონეზე პროექტებით და სხვადასხვა აქტივობებით, სადაც ყველას შეუძლია საკუთარი ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენა და განვითარება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლეთა-ინიციატივების-მხარდაჭერის-წესის მარეგულირებელი დოკუმენტი

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი

ღონისძიებები

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შეიძლება დაისკვნას, რომ მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რადგან საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც სხვა ასპექტებთან ერთად, ხაზგასმულია, ვინ და როგორ არის პასუხისმგებელი სასწავლო პროცესის მონიტორინგზე. ამასთან, სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის საქმიანობაც გულისხმობს სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობას, კოლეგების მხარდაჭერას, დროული და ეფექტიანი უკუკავშირის გაცემას. როგორც გასაუბრებისას აღნიშნეს, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში ყველა საგნობრივ კათედრას დაესწრო საგნობრივი ექსპერტი, გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები, დაიგეგმა და განხორციელდა კომპლექსური დავალებები, რამაც შეასრულა განმავითარებელი შეფასების ფუნქცია. ამდენად, კრიტერიუმის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. კათედრის წევრების მიერ ურთიერთდასწრებისა თუ პროფესიული პორტფოლიოს გაზიარების პრაქტიკა იმის მაგალითია, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთას მათი დაძლევის და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. ამას ადასტურებს სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია. ამასთან, როგორც გასაუბრებიდან ირკვევა, მასწავლებლებს აქვთ საშუალება, შეარჩიონ მათი პროფესიული განვითარებისთვის მიზანშეწონილი

ტრენინგ-მოდული, დირექცია ხელს უწყობს თანამშრომლებს, მონაწილეობა მიიღონ პროფესიული განვითარების სხვადასხვა ღონისძიებაში, მაგალითად, ეროვნული თუ საერთაშორისო კონფერენცია. ამდენად, კრიტერიუმის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება რომ პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას განსაზღვრავს დასტურდება იმით, რომ კათედრას შერჩეული აქვს სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც, ერთი მხრივ, დააკვირდება, რა ცოდნა აქვთ მოსწავლეებს საფეხურის სამიზნე ცნებებთან მიმართებით, მეორე მხრივ, გამოკვეთს ტიპურ პრობლემებს და დაგეგმავს აქტივობებს მათ გადასაჭრელად. რაც შეეხება თავად მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, კოლეგისგან მიღებული უკუკავშირი, ურთიერდასწრება, კათედრის სხდომებზე სასწავლო პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესახებ მსჯელობა, მოსწავლეების მიღწევების ერთობლივი ანალიზი, როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ, სასწავლო პროცესის ნაწილია. დაასახელეს კიდეც კონკრეტული მაგალითები, როცა კოლეგის თუ საგნობრივი ექსპერტის შეფასება-რეკომენდაცია გაითვალისწინეს პრობლემის გადაჭრისას ან მოსწავლეთა ნამუშევრების საფუძველზე, ერთობლივად დაგეგმეს კონკრეტული აქტივობები. ამდენად, კრიტერიუმის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის სხდომის ოქმები;
- წლიური სამოქმედო გეგმა.
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასკოლო საზოგადოების მიერ გაზრებულია, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. მიმდინარე განმავითარებელი შეფასების სისტემატიური გამოყენება სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავების გზით დაეხმარება მოსწავლეებს განივითარონ და დახვეწონ თავიანთი უნარები.

(ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია).

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ შეფასების სისტემა კომპლექსურია და მოიცავს ბევრ სხვადასხვა მიმართულებას. მოსწავლე არ ფასდება ცალსახად მხოლოდ მის მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე, არამედ ხდება ბევრი სხვა ფაქტორის გათვალისწინებაც. მასწავლებლებმა შეხვედრისას აღნიშნეს, რომ საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით, როგორიცაა ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური პრეზენტაცია, მოსწავლეზე დაკვირვება. შეფასებაც ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას, ურთიერთშეფასებასა და თვითმონიტორინგს. შეფასება ეხმარება მოსწავლეებს_ მუშაობის პროცესში გამოვლენილი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გაცნობიერებაში. კათედრაზე გამოიყენება, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. შემუშავებულია შეფასების რუბრიკები, ჩამოყალიბებულია შეფასების კრიტერიუმები.

3. მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით კათედრა ახორციელებს მრავალმხრივ მიდგომებს და იყენებს ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიც არის: მოსწავლეზე დაკვირვება, მოკლე ჩანაწერების გაკეთება, ტესტირება, სიტყვიერი კომენტარი, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, კითხვარი და სხვა. მასწავლებლებმა შეხვედრისას აღნიშნეს, რომ ეს მეთოდები მათ საშუალებას აძლევს დაადგინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და უზრუნველყონ შეფასებისადმი ჰოლისტური მიდგომა.

(ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია).

4. კათედრა მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით შეფასებას ახორციელებს კომპლექსურად, მოსწავლე არ ფასდება ცალსახად მხოლოდ მის მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე, არამედ ხდება ბევრი სხვა ფაქტორის გათვალისწინებაც. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეზე დაკვირვება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენება სწორედ ამის საშუალებას იძლევა. სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა მორგებულია თითოეული მოსწავლის ინტერესებზე ინდივიდუალურად და შეფასების შედეგად ხდება თითოეული მოსწავლის ცოდნის დადებითი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი ნაწილის შესახებ ინფორმაციის მიღება.

(ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია).

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- მასწავლებლებთან ინტერვიუ;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.. პედაგოგებთან გასუბრებისას და წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ასახულია კურიკულუმის განვითარების ძირითადი პრინციპები, რომელებიც დაკავშირებულია სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების გადასინჯვასთან და რევიზიის პროცესთან. პედაგოგების მიერ ინტერვიუს დროს აღნიშნული იყო, რომ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია განხორციელდება კათედრის სხდომებზე, სადაც წევრები გაცვლიან კურიკულუმის

დანერგვისა და განხორციელების შესახებ მონაცემსა და გამოცდილებას, ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ მონაცემების შეჯერების საფუძველზე შეიქმნება მომდევნო წლისთვის წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის განვითარებისთვის და დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებელია**

2. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნას.პედაგოგებმა აღნიშნეს , რომ ახალი სასწავლო წლისთვის შექმნილი კურიკულუმი არის მოსწავლეზე ორიენტირებული, გათალისწინებულია სწავლების დიფერენცირებული მიდგომები, უფრო მეტად არის მოქნილი და მორგებული სწავლების გრძელვადიან მიზნებზე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმი.

შეფასება:

- ○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4	☒ შეესაბამება

კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას:**

ჩქვალერის თემის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების მათ ძლიერ და ,კათედრებზე მასწავლებლებს შორის მიმდინარეობს მსჯელობა მოსწავლეთა მიღწევებზე .ინტერესები .ასევე სოციალური ქსელისა თუ ელ ,აქვთ ორმხრივი კომუნიკაცია მშობლებთან როგორც პირისპირ ,მხარეებზე სუსტ სკოლის ეს პროცედურები გაწერილია .სადაც ხდება ინფორმაციის გაცვლა და უკუკავშირის მიღება ,ჟურნალის საშუალებით დოკუმენტებში. მეთოდოლოგიაში მიერ წარმოდგენილ ,,კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიასა“ და სხვა .შესაძლებლობები და პრიორიტეტები ,შეხედულებები ,გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები ,მშობლების ,სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება მოსწავლეების ,, :3) ვკითხულობთ .დოკუმენტის მე-3 თავში (გვ ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა .მასწავლებლებისა და დირექციის თანამშომლობის რეჟიმში ხდება არამედ ინტენსიურ თანამშორმობასა და გამჭვირვალე ,მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას თუ ვინ და რა ფორმით მიიღებს მონაწილეობას ,ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას“. დოკუმენტში ასახულია ვის რა ფუნქცია ექნება; როგორ მოხდება სასწავლო პროცესის შესახებ მონაცემთა შეგროვება ,სასწავლო პროცესის დაგეგმვაში მეთოდები და შეფასების ფორმები. სკოლა ასევე ,და გათვალისწინება; რა ფორმით აღიწერება სწავლა-სწავლების მიზნები განსაზღვრავს თუ რომელი საკომუნიკაციო არხების საშუალებით შეძლებენ კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო გამოიყენებენ სკოლის ვებგვერდს; ელექტრონულ ,საზოგადოების ინფორმირებას და მათგან უკუკავშირის მიღებას. კერძოდ შეხვედრებს - საჯარო ღონისძიებებს ,სოციალურ მედიას ,დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემას ,ფოსტას სოციალური ქსელის გვერდი ,, :კერძოდ 5.2 პუნქტში ვკითხულობთ ,საზოგადოებასთან ურთიერთობის წესში .მშობლებთან ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიმოქცევის ინტერესს და ასრულებს ორ ძირითად ფუნქციას: ა) ხელმისაწვდომს ხდის სკოლის საკონტაქტო ინფორმაციას და რისთვისაც ,საკომუნიკაციო პლატფორმის ფუნქციას სკოლის რისთვისაც უზრუნველყოფს ,ინტერნეტით კომუნიკაციის შესაძლებლობას; ბ) საინფორმაციო ფუნქციას სოციალურ “;საჯაროობას სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ სრული ინფორმაციის ,საქმიანობის სადაც ვკითხულობთ: ,(4 .პასუხისმგებლობაზე აქცენტი კეთდება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაშიც (გვ ,,სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულ იქნება სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრის საჭიროებები ,ამდენად “.ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ,და დაგეგმილი საქმიანობით დადებით წვლილს შეიტანს როგორც სასკოლო ,რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის ,შეგვიძლია დავასკვნათ **რჩევა**: სასურველია .შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას ,შეხედულებების

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილი კვლევის ინსტრუმენტების შესაბამისად სკოლას ჰქონდეს .მოსწავლეების/მშობლებისთვის, კითხვარი ფოკუს-ჯგუფისთვის, და სხვ /კითხვარი მასწავლებლების შემუშავებული რაც გათვალისწინებული იქნება საგნობრივი კურიკულუმების საჭიროებებს ,მზაობას ,მათ ინტერესებს რითაც გამოავლენს განხორციელების პროცესში

ინდიკატორი შეესაბამებასტანდარტის მოთხოვნებს.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

კურიკულუმის ჩარჩოს შექმნის პროცესში პედაგოგებმა გაითვალისწინეს 2022-2023 სასწავლო წლის ფარგლებში საგნობრივი პროგრამების განხორციელებისას გამოვლენილი ხარვეზები, მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერსები, სურვილები და შესაბამისი შინაარსი ასახეს მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმში. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, აგრეთვე პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესები. წარმოდგენილია კათედრისა და სადამრიგებლო დებულება, სადამრიგებლო პროგრამა, სკოლის მიერ შექმნილი სოციალური ქსელი, სასკოლო პროექტების დოკუმენტაცია, საიდანაც იკვეთება, რომ დაწესებულება ითვალისწინებს მოსწავლეთა და მშობლების ინტერესებს, მასწავლებლების ინიციატივებსა და წინადადებებს. აღსანიშნავია, რომ სკოლას გააზრებული აქვს ამ საკითხის მნიშვნელობა. ახალ კურიკულუმებში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების (მოსწავლე, მასწავლებელი, ადმინისტრაცია, მშობელი, თემი) ინტერესები, პრიორიტეტები, მისი რეალიზების მექანიზმები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმი, რომელის შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ სასკოლო საზოგადოების წევრები, მათ შორის მშობლები და სკოლის ადმინისტრაცია, რაც დასტურდება სასკოლო სასწავლო გეგმით, პედსაბჭოსა (სხდომის ოქმი N1, 04.09.2022) კერძოდ, ინტერვიურებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ტარდებოდა მიზნობრივად დაგეგმილი შეხვედრები სკოლაში კათედრის წევრებთან, პედაგოგები აქტიურად ესწრებოდნენ სასკოლო საზოგადოებისათვის მხარდაჭერის გარე ღონისძიებებს (ტრენინგებს, შესაბამისი საგნობრივი ჯგუფებისთვის გამიზნულ სემინარებს და სხვა). სკოლაში არსებობს მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული დამრიგებლის სამოქმედო გეგმები. მოსწავლეთა ჩართულობით ადგენენ სადამრიგებლო საათის შინაარსს. კლასის ხელმძღვანელების დახმარებით მშობლები ჩართული არიან სხვადასხვა

აქტივობის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ამისთვის იმართება მშობელთა კრებები, სადაც განიხილება სწავლა-სწავლების მიზნები, სასკოლო კურიკულუმი, სასწავლო რესურსების გამოყენებისა და შეფასების პრინციპები. ასევე, განიხილება, თუ რა ფაქტორები უწყობს ან უშლის ხელს მშობლების სასწავლო პროცესში ჩართვასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებით მათი შეხედულებებისა და ინტერესების შესწავლას. ამ ეტაპზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში იკვეთება მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების ინტერესების გათვალისწინების მაგალითები და ჩართულობა. სასკოლო საზოგადოების ინტერესები რომ ასახული უნდა იყოს სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში დასტურდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში, კერძოდ მუხლი 2-ში ვკითხულობთ: სკოლის მისიით დასახული მიზნების მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფს ,, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკების, წესების და პროცედურების შემუშავებას, განხორციელებასა და შეფასებას. აღნიშნულ პროცესებში ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის მოსწავლეებს, სკოლის პერსონალის, კურსდამთავრებულების, სასკოლო საზოგადოების და თემის ჩართულობას. ჩართულობა უზრუნველყოფს სკოლაში მიმდინარე პროცესების საჯაროობას, ეფექტიანობას და შედეგზე ორიენტირებას“.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მოწოდებულ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ დოკუმენტებზე დაყრდნობით, შემუშავდა დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები. ამასთან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტიდანაც იკითხება, რომ სასკოლო საზოგადოება მუდმივად ინფორმირებულია სასწავლო პროცესში არსებულ გამოწვევებსა თუ მიღწევებზე, ტარდება ინდივიდუალური შეხვედრები დაინტერესებულ პირებთან, ტარდება მშობელთა კრებები, სოციალური ქსელის გამოყენებით ზიარდება საჭირო ინფორმაცია იმისათვის, რომ სასკოლო კურიკულუმების მიმართ სასკოლო საზოგადოების წევრებს ჰქონდეთ მეტი მიკუთვნებულობის განცდა. სკოლა იაზრებს სასკოლო საზოგადოების როლს არსებული კურიკულუმების გაზიარებაში და ამ გზით ხარისხიანი სასწავლო პროცესის წარმართვაში. კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში, მუხლი 3, პუნქტი 2, (გვ.6) ვკითხულობთ: ,,საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხი გამომდინარეობს სასკოლო საზოგადოების წევრთა კომპეტენციისგან, პასუხისმგელობისგან და ეთიკური ქცევისგან.“ სკოლა გამოხატავს მზაობას, მხარი დაუჭიროს მოსწავლეთა ინიციატივებს, პრობლემების იდენტიფიცირებას, ინდივიდუალური საჭიროებებისა და

შესაძლებლობების გამოვლენას, უზრუნველყოს სასკოლო ცხოვრებაში მათი ჩართულობა, ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ: **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;

საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი;

სკოლის მიერ შექმნილი სოციალური ქსელი;

სადამრიგებლო დებულება;

სასკოლო პროექტების დოკუმენტაცია;

მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი;

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;

საბჭოს სხდომის ოქმი (N1, 04.09.2022).

2.1.3. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგანაც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ, ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაძლებლობებს. შემუშავებულ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის წინარე ცოდნა, კონსტრუქტივიზმზე დაშენებული ცოდნის მიღება. საბაზო საფეხურის უცხო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, თემები და კომპლექსური დავალებები ეყრდნობა მოსწავლეთა და მასწავლებელთა წინარე გამოცდილებას და პრაქტიკას. რაც განაპირობებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესში. უცხო ენის საბაზო საფეხურის საგნების კურიკულუმის ჩარჩოში, ცხრილებში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სავალდებულო თემები, საკითხები და ცნებები და ქვეცნებები შევსებულია მართებულად, ასევე სწორად არის ჩამოყალიბებული კომპლექსური დავალების იდეები და კონტექსტ მაგალითები.

ქვარენის საჯარი სკოლის პედაგოგებს საგნობრივი კურიკულუმის სახით წარმოდგენილი აქვთ კურიკულუმის ჩარჩოები, ზოგ ჩარჩოს ახლავს კომპლექსური დავალების პირობაც, თუმცა კურიკულუმი, რომელიც მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზეა მიმართული, უნდა მოიცავდეს (დანართის სახით იყოს მიბმული), სხვადასხვა აქტივობებს,

ომელზე დაყრდნობითაც ხდება დაგეგმილი სასწავლო მიზნების განხორციელება, ეს შეიძლება იყოს დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, სვადასხვა სახის აქტივობები (გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით), შემაჯამებელი ტესტები,

სადაც გათვალისწინებულია კონსტრუქტივისტული პრინციპები, დავალებების დიფერენცირება და სხვ. □არმოდგენილი უნდა იყოს დიაგნოსტიკური წერის ინსტრუმენტი, დამატებითი და არაფორმალური ღონისძიებები, რომლებიც ასევე ემსახურება მოსწავლის პიროვნულ განვითარებას, შეფასების რუბრიკები, შესაბამის ტესტებთან ერთად და სხვ.ს

□ქვარელის საჯარო სკოლაში ვიზიტის დროს ბუნებისმეტყველების მასწავლებლებმა გასაუბრებისას გამოავლინეს ცოდნა იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვა და განვითარება, რაც წარმოადგინეს კურიკულუმის ჩარჩოების სახით, მათი შემოწმებისას მივეცი უკუკავშირი-გაეწერათ იმ კომპლექსური დავალების კონტექსტ-მაგალითები და შეევსოთ ჩარჩო ბოლომდე, რომელთა განხოციელებასაც აპირებდნენ სასწავლო პროცესში და შეესწორებინათ ზოგიერთი ტექნიკური ხარვეზი, თუმცა გადმოგზავნილ კურიკულუმის ჩარჩოებში იყო გარკვეული ხარვეზები, რომლებიც გასასწორებელია. **რჩევა:** სასურველია გადმოგზავნილ ფიზიკის მე-7 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში პედაგოგმა დატოვოს იმდენი კონტექსტ-მაგალითი, რამდენის განხორციელებასაც აპირებს. რერსურსების სვეტში ნაცვლად "მაგალითები შედარებისათვის"-შეცვალოს ძირითადი საკითხის დასამუშავებლად საჭირო რესურსებით. □ე-8 და □ე-9-კლასის ქიმიის და ბიოლოგიის ჩარჩოში მასწვლებელმა გაწეროს ის კონტექსტ-მაგალითი, რომლის განხორციელებასაც აპირებს, მე-7 კლასის ბიოლოგიის ჩარჩოში, დაამატოს სავალდებულო თემები, □აცვლად ერთისა უნდა ეწეროს 5-თემა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის/მტკიცებულებების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები, დაფარულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, რაც ორიანტირდება გლობალურ ფუნქციური უნარების ხელშეწყობასა და განვითარებაზე კომპლექსური ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ გააქტიურებას , არამედ ხელს უწყობს მათ გააზრებასა და გაცნობიერებაში კურიკულუმში ასახული საგნობრივი საკითხები, რესურსები, კონტექსტ-მაგალითები და კომპლექსური დავალებების იდეები იძლევა გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) და მაკრო ცნებების გააქტიურების საფუძველს,. ასევე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიან მიზნებს, მაკრო ცნებებსა და ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებს. ყურადღება ექცევა საგანთა შორის ინტეგრირებას, როგორც

ფორმალური ასევე, არაფორმალური განათლების ფარგლებში. რასაც ადასტურებს მოსწავლეებზე ორიენტირებული გაკვეთილები და პროექტები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია,რომ სკოლაში სასწავლო პროცესი მეტნაკლებად იგეგმება დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებით,რაც გულისხმობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასაწავლო პროცესში. ზოგიერთ საგანში სწავლა-სწავლების პროცესი ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის პროგრესზე.ამ მიზნით სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია დიფერენცირებული სწავლა-სწავლების ძირითადი პრინციპები და სტრატეგიები: მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები, საჭიროებები, შესაძლებლობები. შეთავაზებულია სასწავლო მასალები და რესურსები,რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას. მასწავლებელი საკითხის დამუშავებისას მოსწავლს აძლევს არჩევანის უფლებას, წარმოადგინოს დავალება სასურველი ფორმატით (ესე,პოსტერი,პრეზენტაცია ,კომიქსი). ასევე ,ტარდება გაკვეთილები დიფერენცირებული მიდგომების სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით(სასწავლო მენიუ,გაჩერებებით სწავლა,რაფთი და სხვა).ამ გზით იქმნება მრავალფეროვანი პროდუქტები და მოსწავლეებსაც საშუალება ეძლევა, გამოხატოს თავისი ცოდნა სრული ფორმატით. მომავალი სასწავლო წლიდან ამ მიმართულებით სკოლა აქვს მზაობა უზრუნველყოს თითოეული მოსწავლის მაქსიმალური ჩართულობა სასწავლო პროცესში. დაბალი მზაობის მოსწავლეებისთვის შეიქმნება კომპლექსური დავალებების ადაპტირებული ვერსიები. (ამ ეტაპზე სკოლაში სსსმ მოსწავლე არ არის) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. ავტორიზაციის განაცხადის ეტაპზე მოხერხდა განმსაზრვრელი და განმავითრებელი შეფასების რუბრიკის შემუშავება. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს და ცდილობს უკუკავშირი მასზე დაფუძნებით განახორციელოს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გაწერილია მოსწავლის შეფასების ამოცანები და მიზნები. მოსწავლე ფასდება არა მხოლოდ სწავლების შედეგით, არამედ სწავლის პროცესში მისი აქტიურობით, ჩართულობით, უნარებით და შესაძლებლობებით. შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებით მაგ.:

განმავითარებელი კომენტარი, ზეპირი და წერილობითი უკუკავშირები,. მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, იგივე დადასტურდა კათედრის წევრებთან გასაუბრების დროსაც. საბაზო საფეხურზე, ამ ეტაპზე, სკოლა განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს მისდევს. შესაბამისად მასწავლებლები იყენებენ როგორც ანალიტიკური, ასევე ჰოლისტური შეფასების რუბრიკებს. მაგ.: შემაჯამებელი დავალების, პრეზენტაციის, დისკუსის, საკლასო და საშინაო დავალების და სხვ. მომდევნო სასწავლო წლისთვის არჩეულ იქნა შეფასების მეორე მოდელი.

რჩევა : სასურველია, შეიქმნას ყველა სასწავლო თემის ფარგლებში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით.

სასურველია, მომზადდეს სამიზნე ცნებაზე და მკვიდრი წარმოდგენების შინაარსთან დაკავშირებული საკითხებთან და ქვესაკითხებზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ კონტექს- მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებში განხორციელდება კომპლექსური დავალებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სასკოლო კურიკულუმისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას. მიუხედავად იმისა რომ სკოლა ჩართული არ იყო ახალი სკოლის მოდელში, რამდენიმე მასწავლებელმა მოისმინა შესაბამისი ვებინარები და დაიწყო კომპლექსური დავალებების განხორციელება თავის საკლასო სივრცეში,დაუგროვდათ საინტერესო გამოცდილება ,რაც ასეხულია მათს პორთფოლიოებში.ამ წარმატებულ გამოცდილებას სკოლა ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში. სასწავლო წლის ბოლოს შეაფასებენ მასწავლებელთა პორტფოლოიებს ,მოსწავლეთა ნამუშევრებს,დავალებებს სკოლა გეგმავს ასევე კვლევის განხორციელებას კითხვარების საშუალებით. კვლევის შედეგების , წინარე გამოცდილების (წარმატებისა და გამოწვევების) გათვალისწინებით, სასკოლო კურიკულუმი გადამუშავდება და განახლდება ვკითხულობთ სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ,რომ სკოლას გააჩნია მზაობა მომავალში სასწავლო პროცესები დაგეგმოს წინარე გამოცდელებებისა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის თვითშეფასების ფორმა
2. საგნობრივი კურიკულუმები
3. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
4. რესურსი N12;
5. მასწავლებელთა პორთფოლიოები

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.ჩქვალერის საჯარო სკოლის პედაგოგების მიერ წარმოდგენილ ფიზიკის, ბიოლოგიის და ქიმიის საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები კონტექსტ-მაგალითის სახით და კომპლექსური დავალება იდეის დონეზე. კომპლექსური დავალების კონტექსტ-მაგალითი, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია პრობლემის, დილემის გადაჭრაზე, მოსწავლეებს დააფიქრებს, შემოქმედებით პროცესში ჩართავს, ერთი და იგივე კონტექსტ-მაგალითი მოსწავლეებმა შეიძლება სხვადასხვა კუთხით განიხილონ, პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზა მოძებნონ, გამოთქვან ვარაუდები, მოსაზრებები და შექმნან სხვადასხვა ვარიაციები, რაც ხელს უწყობს მათ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. როგორც ვიზიტის დროს პედაგოგების მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალების მატრიცებიდან გაირკვა, კურიკულუმში ჩაშენებულია მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის სხვადასხვა, მათ შორის შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. შემოქმედებით უნარებს ავითარებს პროდუქტის შექმნაც, მოსწავლეები ქმნიან ბუკლეტებს, პოსტერებს, პრეზენტაციებს, პლაკატებს, წერენ სამეცნიერო სტატიებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, სხვადასხვა სახის ელექტრონულ რესურსებს, ვირტუალურ ლაბორატორიას, სკოლას აქვს კომპიუტერების ოთახი, რომელსაც მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად აქტიურად იყენებენ. გეგმავენ და ახორციელებენ ტექნოლოგიების გამოყენებით მრავალფეროვან აქტივობებს. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ მიმდინარე წელს პედაგოგები უფრო კომპლექსურად მიუდგებიან სასწავლო პროცესს და ყველა მასწავლებელი ერთნაირად შეეცდება რომ სასწავლო პროცესი მუდმივად იყოს ინტერაქტიური, განახლებადი და შემეცნებითი. სკოლაში მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. მათი შემოქმედებითი უნარები განსაკუთრებით წარ,ოჩინდება სკოლის მიერ დაგეგმილ პროექტებში, აქტივობებში, არაფორმალურ საგანმანათლებლო/კულტურული/სპორტულ ღონისძიებებში. მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარები ჩანს მათ მიერ შექმნილ ნახატებში, რომლებიც ამშვენებდა სკოლის კედლებს, სხვადასხვა პროექტის დროს დამზადებულ ხელთნაკეთ ნივთებში, ფოტო-მასალაში და სხვა. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური გარემო, მოსწავლეებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ ხდება

მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება/რეალიზება. **ინდიკატორი შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3.ჩქვალერის საჯარო სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები თემატური დაგეგმვისას აქცენტს აკეთებენ ისეთი კომლექსური დავალებების შერჩევაზე, სადაც კონტექსტი მოსწავლისთვის არის ნაცნობი, მოსწავლეს უადვილდება მისთვის ნაცნობი პრობლემის გადაჭრა. შეუძლიათ შექმნან და წარმოადგინონ მსგავსი საინტერესო პროდუქტი. ეს კარგად ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილ ეტაპებში, რომელიც მოსწავლეს უადვილებს ახალი ინფორმაცია დაუკავშიროს წინარე ცოდნას და ისე გაიაზროს საკითხი. ეტაპები ისეა გააზრებული, რომ ყოველი ეტაპი საფუძველია მომდევნო ეტაპისათვის, რაც უქმნის მოსწავლეს შესაძლებლობას, რომ მისი გამოცდილება იყოს უწყვეტი. კურიკულუმებში სრულად გააზრებული და გათვალისწინებულია მოსწავლეების წინარე გამოცდილება, რომელიც ეყრდნობა კონსტრუქტივისტულ პრინციპს. მასწავლებელთა თქმით, ისინი აპირებენ, კონსტრუქტივისტული მიდგომით(წინარე ცოდნაზე ახლის დაშენებით) გრძელვადიან მიზნებთან-ცნებებთან მიმართებით შექმნან შემაჯამებელი დავალების ტესტები, ასევე საკლასო/საშინაო დავალებები ისე იყოს შედგენილი, რომ ასახავდეს ცოდნის შექნან რომ მათი მუშაობა დაეყრდნოს პროექტულ სწავლებას, სადამრიგებლო საათებში ასახული იქნება ის თემები და აქტივობები, რომელიც დახმარებას გაუწევს მოსწავლეებს, დაინახონ კავშირი ცხოვრებასთან. სწავლების პროცესისადმი ასეთი მიდგომა ეყრდნობა კონსტრუქტივისტულ სწავლებას, რომლის ძირითადი მიზანია მოსწავლეებს განუვითაროს ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით ახალი ინფორმაციის შეგროვება, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, დამოუკიდებლად აზროვნება, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით პრობლემის გადაჭრა და ძველზე დაშენებით ახალი ცოდნის კონსტრუირება – შენება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, თუ როგორ იყენებენ კონსტრუქტივიზმის პრინციპს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4.ჩქვალერის საჯარო სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ, როგორ მიმართონ აქცენტები მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებისკენ, მათ აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალების მიმდინარეობა იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მოსწავლემ შეძლოს და გააცნობიეროს საკუთარი სწავლის პროცესის მართვა. შეაფასოს და გააკეთოს მონიტორინგი . მოსწავლეს დავალების შესრულების ეტაპზე უწევს კონკრეტულ პრობლემასთან გამკლავება, მისი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიების მოძებნა და გამოყენება, პრეზენტაციის დროს მოსწავლე საუბრობს მის მიერ შესრულებულ დავალებაზე, რა გაუჭირდა, რომელი სტრატეგია უფრო დაეხმარა, რა მიგნებები

გამოიკვეთა, რომელიც სამომავლოდ უნდა გაითვალისწინოს. ეს პროცესი, რომელიც მეორდება ყოველი პრეზენტაციის დროს, მოსწავლეს განუვითარებს მეტაკოგნიტურ უნარებს, ეცოდინება, რა მეთოდები და სტრატეგიები მიიყვანს უკეთ ცოდნის შეძენამდე, ამასვეს ემსახურება გაკვეთილის პროცესში გამოყენებული ე.წ. გასასვლელი ბარათები, თვითშეფასების ტესტები. ბუნებისმეტყველების კათედრა გეგმავს კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, ერთი და იგივე კრიტერიუმი მუშავდება მრავალფეროვანი აქტივობებით, ინფორმაცია მიეწოდებათ ცხრილების, დიაგრამების საშუალებით, გრაფიკულად, მოდელებით, მათემატიკური ფორმულებით და სხვა, რაც ემსახურება ერთის მხრივ, დიფერენცირებულ მიდგომებს, მეორეს მხრივ მოსწავლეს ეძლევა საშუალება, შეადაროს დაგეგმილი აქტივობები, გააკეთოს არჩევანი, ანუ ის თავად იყოს პასუხისმგებელი საკუთარი სწავლის პროცესზე. ამ უნარებს ივითარებს მოსწავლე პროექტული სწავლების, წრეობრივი მუშაობის, კომპლექსური დავალებებით სწავლების დროს. მოსწავლე სწავლობს, როგორ დაგეგმოს საკუთარი სწავლა-სწავლების პროცესი. **ინდიკატორი შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. ჩქვალერის საჯარო სკოლის პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ მათი საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემული თემები/საკითხები, მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). წარმოდგენილი აქტივობები მოსწავლისგან მოითხოვს არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას, არამედ პროცედურულსაც და პირობისეულსაც. მაგალითად, კომპლექსური დავალების მიხედვით „ ხსნართა ნაჯერობა და კონცენტრაცია“, მოსწავლეებმა სახელმძღვანელოდან უნდა მიიღონ დეკლარატიული ცოდნა ხსნარების შესახებ, უნდა შეასრულონ პროცედურები, კერძოდ დაამზადონ ნაჯერი, უჯერი, ზენაჯერი, სხვადასხვა კონცენტრაციის ხსნარები, მიღებული ცოდნა დაუკავშირონ ყოფა-ცხოვრებას, განმარტონ, რა მნიშვნელობა აქვს ხსნართა ნაჯერობას და კონცენტრაციას ყოფა-ცხოვრებაში, როგორ უნდა დაამზადონ მაგ.ფიზიოლოგიური ხსნარი? შექმნან პრეზენტაცია რომელსაც წარმოადგენენ აუდიტორიის წინაშე, თუმცა სკოლაში ლაბორატორიის უქონლობა საბუნებისმეტყველო საგნებში ვერ უზრუნველყოფს პროცედურების ჩატარებას და შესაბამისად ვერ მოხდება მოსწავლის უზრუნველყოფა პირობისეული ცოდნით. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებები აცნობიერებენ ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარების საჭიროებას და 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსური დავალება ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. იმედია სკოლას უახლოეს მომავალში ექნება სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია, რაც დაეხმარება მოსწავლეებს პირობისეული,

სიღრმისეული ცოდნის მიღებაში. **რჩევა:** სასურველია, სკოლამ იზრუნოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის შექმნაზე, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვაზე: შეავსოს ლაბორატორიული ჭურჭელი, ხელსაწყო, ნივთიერებები და ა.შ.. გარდა ამისა, მოსწავლისა და მასწავლებლის უსაფრთხოების მიზნით სკოლამ უზრუნველყოს ლაბორატორიაში მცირე წონის ფხვნილოვანი ცეცხლმაქრის არსებობა და ცეცხლგამძლე სადემონსტრაციო მაგიდის, ჰაერის გამწოვი სპეციალური კარადის დამონტაჟება.

ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6.ჩქვალერის საჯარო სკოლის ბუნებისმეტყველების პედაგოგები პირად შეხვედრებსა და საგნობრივ ოქმებში აფიქსირებენ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას, დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რათა მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. ცოდნის სამი კატეგორია და ცოდნათა ურთიერთდაკავშირება მოსწავლეებში სიღრმისეული ცოდნის მიღების წინაპირობაა, ამიტომ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებით პედაგოგები ეხმარებიან მისწავლეებს სიღრმისეული, ხარისხიანი ცოდნის მიღებაში. პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგები შექმნიან კომპლექსური ბუნების შემაჯამებელ ტესტებს, გრძელვადიანი მიზნების-ცნებების მიმართ, რომელიც მიმართული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიის გააზრებაზე, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაზე. შესაბამისად მოხდება სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული სამიზნე ცოდნების ურთიერთდაკავშირებულად შესწავლა. გაითვალისწინებენ მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს, შექმნიან კეთილგანწყობილ, ინკლუზიურ გარემოს. ასეთი მიდგომით მოსწავლეებში გაიზრდება მოტივაცია, გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები, რაც წარმატებული სწავლის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორია. საბაზო საფეხურის მასწავლებლები ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, მოსწავლეებს რთავენ პროექტულ სწავლებაში, რაც მოსწავლეში ცოდნის ურთიერთდაკავშირებას უწყობს ხელს. პედაგოგებს აქვთ მზაობა, აღნიშნული მიდგომები, წინარე გამოცდილება და ახალი მიგნებები გათვალისწინებულ იქნას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებე

საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები

სასწავლო პროექტები;

მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;

სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები.

მასწავლებლის პორტფოლიო.

მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი.

ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა

კურიკულუმის ჩარჩო;

კათედრის ოქმი, გადაწყვეტილება

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;

პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებსა (რესურსებს,მასალას) და საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. მნიშვნელოვანია რეალიზებული კომპლექსური დავალებები და მათზე რეფლექსია, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, აგრეთვე, საგაკვეთილო აქტივობები გააზრებული უნდა იყოს მიზანზე. წარმოდგენილი დოკუმენტებითა და პედაგოგებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. სკოლის მიერ მიერ წარმოდგენილია საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო VII, VIII და IX კლასებისთვის, რომელშიც გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა,

მოქალაქეობა, ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ემპათიური გრძნობების ჩამოყალიბებისათვის, ფსიქოსოციალური განვითარებისათვის სკოლის მიერ განხორციელებული პროექტები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ ზრდას, ფსიქო-სოციალურ განვითარებას, მოსწავლეებში ემპათიის გრძნობის გაზარდას. სკოლას წარმოდგენილი აქვს სადამრიგებლო პროგრამა, სადაც მკაფიოდაა გაწერილი დამრიგებლის როლი მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. აღნიშნული ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან და აქვთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება, ამასთანავე წარმოდგენილია კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე დაფუძნებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, განმსაზღვრელი შეფასების ზოგადი რუბრიკები. კათედრის სხდომებზე იხილავენ შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმებს. ათედრა ახალ სასწავლო წელს გეგმავს სადიაგნოსტიკო წერის ჩატარებას ყველა კლასში. მოსწავლეებისთვის მიმართავენ ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკებს. პედაგოგები მზად არიან, მუშაობა გააგრძელონ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მიმართულებით ყველა თემასთან მიმართებით, აკვირდებიან მოსწავლეთა მიღწევებს, გეგმავენ და ახორციელებენ შემაჯამებელ ტესტირებებს .

4. კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია კათედრის განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები , რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს, შესაბამისად. შეფასება არის ვალიდური და სანდო. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით ყველა თემატურ ერთეულზე მორგებულია ავთენტური შეფასების რუბრიკები,რომელიც პასუხობს ესგ-ის საგნობრივ და მიემართება გრლევადიანი მიზნებისკენ-ცნებებისკენ . შეფასების რუბრიკების გაზიარება სასკოლოს საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობით უზრუნველყოფს გამჭირვალეობას, ობიექტურობას და სამართლიანობას. სასკოლო საზოგადოებას დაკვირვების საშუალება მიეცემა გაზიარების შემდეგ. ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

5. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტში/ დანართებში იკითხება, რომ სკოლაში არსებობს შეფასების სისტემა, რომლითაც ხდება მოსწავლეთა მიღწევების შეფასება და პროცესის ანალიზი. სამომავლოდ სკოლა დახვეწს და შემიმუშავებს შეფასების ვერიფიკაციის ისეთ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს საფეხურის შედეგების სტატისტიკურ ანალიზს .

ინდიკატორი შეფასდა როგორც დადებითი.

6.სკოლა მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას , ამ ეტაპზე სკოლა მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. თუმცა გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა მომავალში იზრუნებს ამ საკითხის მოგვარებაზე და უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. შესაბამისად გამოიკვეთა სკოლის მზაობა ამ საკითხთან მიმართებაში,რაც მაძლევს საშუალებას **ინდიკატორი შევაფასო დადებითად.**

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მხარდამჭერ და მიმღებლობით სასწავლო გარემოს. კურიკულუმზე მუშაობისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, უნარები, ასევე მშობელთა ინტერესები. გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას რომ იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა , იგეგმება და ხორციელდება საკლასო და სასკოლო ღონისძიებები, არაფორმალური განათლება მოსწავლეს უჩენს ნდობის, დაცულობის, მიმღებლობის განცდას. ამას ადასტურებს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე ორიენტირებული თანამშრომლობა. მასწავლებლებს შორის ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, რჩევების მიცემა და გამოცდილების გაზიარება. პედაგოგების მიერ კოლეგების მიმართ გაცემული უკუკავშირი ძირითადად პროგრესსა და განვითარებაზეა ორიენტირებული. სკოლაში

შემუშავებული აქვთ მოსწავლეთა ინიციატივების-მხარდაჭერის დოკუმენტი, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეების მიზანია მოსწავლეთა მხარდაჭერის, ინფორმირებულობის, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის ხელშეწყობა, არსებული სირთულეების, საჭიროებები და ინიციატივების იდენტიფიცირების მიზნით შესაბამის ღონისძიებებისა და აქტივობების განხორციელება. ასევე შემუშავებული აქვთ პერსონალისადაპტაციის წესის მარეგულირებელი დოკუმენტი. ეს ყველაფერი, კი მხარდამჭერი და პოზიტიური გარემოს დასტურია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. სწავლა ხორციელდება მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე. კომპლექსური დავალებების შესრულებისას გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები, რა შეუძლია მას. სკოლა ახორციელებს სხვადასხვა სახის სასწავლო პროექტებს, ატარებს ღონისძიებებს და გეგმავს ექსკურსიებს. მშობლებში, მოსწავლეებსა და მასწავლებლებში პერიოდულად ხორციელდება მოსაზრებებისა და საჭიროებების გამოკითხვა და ანალიზი. სწავლება მიმდინარეობს კომპლექსური დავალებების მეშვეობით, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, რომლის ნებისმიერი აზრი მისაღები და წახალისებულია მასწავლებლის მიერ. ამ დროს მოსწავლე აქტიურია, ხოლო მასწავლებელი ასრულებს ფასილიტატორის როლს. ის მოსწავლესთან ერთად გეგმავს სასწავლო პროცესს, აძლევს მას დავალებების არჩევის შესაძლებლობას. სკოლას გააზრებული აქვს, რომ საბაზო საფეხურზე მნიშვნელოვანი ასპექტია მოსწავლის საჭიროების მუდმივი მონიტორინგი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. სკოლაში არის მეგობრული, ურთიერთთანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემო. ტარდება ურთიერთდასწრების გაკვეთილები, მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას. პედაგოგების მიერ კოლეგების მიმართ გაცემული უკუკავშირი განვითარებაზეა ორიენტირებული. გადაწყვეტილების მიღებისას იკვეთება გუნდურობა და კოლეგიალურობა. მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროცესი, პასუხისმგებლობის დელეგირება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის სკოლის წარმატებული გამოცდილებაა. სკოლა მზადაა, შეინარჩუნოს თანამშრომლობითი გარემო სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის მხრიდან სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდის მდგრადობისა და საერთო წარმატებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა უზრუნველყოფს სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლეთა-ინიციატივების-მხარდაჭერის-წესის მარეგულირებელი დოკუმენტი

საბაზო საფეხურის კურიკულუმი

პროექტები და ღონიძიებები

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა

საჯარო სკოლის სტარტეგიული განვითარების გეგმა;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;

შენიშვნა: იმის გათვალისწინებით, რომ სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია შესაბამისი აღჭურვილობით, სკოლა სრულფასოვნად ვერ უზრუნველყოფს საბაზო საფეხურის კურიკულუმის განხორციელებას. ამასთან, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, არაუმეტეს 2024 წლის 24 აგვისტომდე დაწესებულებას დაგეგმილი აქვს ხარვეზის აღმოფხვრა, რაც რეალისტურად მიიჩნია ექსპერტთა ჯგუფმა და დაწესებულება კომპონენტთან მიმართებით შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შეიძლება დაისკვნას, რომ მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რადგან საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც სხვა ასპექტებთან ერთად, ხაზგასმულია, ვინ და როგორ არის პასუხისმგებელი სასწავლო პროცესის მონიტორინგზე. ამასთან, სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა

და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის საქმიანობაც გულისხმობს სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობას, კოლეგების მხარდაჭერას, დროული და ეფექტიანი უკუკავშირის გაცემას. როგორც გასაუბრებისას აღნიშნეს, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში ყველა საგნობრივ კათედრას დაესწრო საგნობრივი ექსპერტი, გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები, დაიგეგმა და განხორციელდა კომპლექსური დავალებები, რამაც შეასრულა განმავითარებელი შეფასების ფუნქცია. **ამდენად, კრიტერიუმის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. კათედრის წევრების მიერ ურთიერთდასწრებისა თუ პროფესიული პორტფოლიოს გაზიარების პრაქტიკა იმის მაგალითია, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთას მათი დაძლევის და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. ამას ადასტურებს სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია. ამასთან, როგორც გასაუბრებიდან ირკვევა, მასწავლებლებს აქვთ საშუალება, შეარჩიონ მათი პროფესიული განვითარებისთვის მიზანშეწონილი ტრენინგ-მოდული, დირექცია ხელს უწყობს თანამშრომლებს, მონაწილეობა მიიღონ პროფესიული განვითარების სხვადასხვა ღონისძიებაში, მაგალითად, ეროვნული თუ საერთაშორისო კონფერენცია. **ამდენად, კრიტერიუმის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. მონიტორინგი და შეფასება რომ პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას განსაზღვრავს დასტურდება იმით, რომ კათედრას შერჩეული აქვს სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც, ერთი მხრივ, დააკვირდება, რა ცოდნა აქვთ მოსწავლეებს საფეხურის სამიზნე ცნებებთან მიმართებით, მეორე მხრივ, გამოკვეთს ტიპურ პრობლემებს და დაგეგმავს აქტივობებს მათ გადასაჭრელად. რაც შეეხება თავად მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, კოლეგისგან მიღებული უკუკავშირი, ურთიერდასწრება, კათედრის სხდომებზე სასწავლო პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესახებ მსჯელობა, მოსწავლეების მიღწევების ერთობლივი ანალიზი, როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ, სასწავლო პროცესის ნაწილია. დაასახელეს კიდეც კონკრეტული მაგალითები, როცა კოლეგის თუ საგნობრივი ექსპერტის შეფასება-რეკომენდაცია გაითვალისწინეს პრობლემის გადაჭრისას ან მოსწავლეთა ნამუშევრების საფუძველზე, ერთობლივად დაგეგმეს კონკრეტული აქტივობები. **ამდენად, კრიტერიუმის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის სხდომის ოქმები;
- წლიური სამოქმედო გეგმა.
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. მიმდინარე განმავითარებელი შეფასების სისტემატიური გამოყენება სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავების გზით დაეხმარება მოსწავლეებს განივითარონ და დახვეწონ თავიანთი უნარები.

(ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია).

2.წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ შეფასების სისტემა კომპლექსურია და მოიცავს ბევრ სხვადასხვა მიმართულებას. მოსწავლე არ ფასდება ცალსახად მხოლოდ მის მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე, არამედ ხდება ბევრი სხვა ფაქტორის გათვალისწინებაც. მასწავლებლებმა შეხვედრისას აღნიშნეს, რომ საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით, როგორიცაა ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური პრეზენტაცია, მოსწავლეზე დაკვირვება. შეფასებაც ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას, ურთიერთშეფასებასა და თვითმონიტორინგს. შეფასება ეხმარება მოსწავლეებს_ მუშაობის პროცესში გამოვლენილი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გაცნობიერებაში. კათედრაზე გამოიყენება, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. შემუშავებულია შეფასების რუბრიკები, ჩამოყალიბებულია შეფასების კრიტერიუმები.
_(ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია).

3.მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით კათედრა ახორციელებს მრავალმხრივ მიდგომებს და იყენებს ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიც არის: მოსწავლეზე დაკვირვება, მოკლე ჩანაწერების გაკეთება, ტესტირება, სიტყვიერი კომენტარი, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, კითხვარი და სხვა. მასწავლებლებმა შეხვედრისას აღნიშნეს, რომ ეს მეთოდები მათ საშუალებას აძლევს დაადგინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და უზრუნველყონ შეფასებისადმი ჰოლისტური მიდგომა.
(ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია).

4.კათედრა მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით შეფასებას ახორციელებს კომპლექსურად, მოსწავლე არ ფასდება ცალსახად მხოლოდ მის მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე, არამედ ხდება ბევრი სხვა ფაქტორის გათვალისწინებაც. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეზე დაკვირვება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენება სწორედ ამის საშუალებას იძლევა. სასკოლო კურიკულუმით

განსაზღვრული შეფასების სისტემა მორგებულია თითოეული მოსწავლის ინტერესებზე ინდივიდუალურად და შეფასების შედეგად ხდება თითოეული მოსწავლის ცოდნის დადებითი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი ნაწილის შესახებ ინფორმაციის მიღება.

(ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია).

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- მასწავლებლებთან ინტერვიუ;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პედაგოგებთან გასუბრებისას და წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ასახულია კურიკულუმის განვითარების ძირითადი პრინციპები, რომელებიც დაკავშირებულია სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების გადასინჯვასთან და რევიზიის პროცესთან. პედაგოგების მიერ ინტერვიუს დროს აღნიშნული იყო, რომ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია განხორციელდება კათედრის სხდომებზე, სადაც წევრები გაცვლიან კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების შესახებ მონაცემსა და გამოცდილებას, ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ მონაცემების შეჯერების საფუძველზე შეიქმნება მომდევნო წლისთვის წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის განვითარებისთვის და დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებელია**

2. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნას.პედაგოგებმა აღნიშნეს , რომ ახალი სასწავლო წლისთვის შექმნილი კურიკულუმი არის მოსწავლეზე ორიენტირებული, გათალისწინებულია სწავლების დიფერენცირებული მიდგომები, უფრო მეტად არის მოქნილი და მორგებული სწავლების გრძელვადიან მიზნებზე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმი.

შეფასება:

- ○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი **ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა**	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას:**

ჩქვალერის თემის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კათედრებზე მასწავლებლებს შორის მიმდინარეობს მსჯელობა მოსწავლეთა მიღწევებზე, მათ ძლიერ და სუსტ მხარეებზე, აქვთ ორმხრივი კომუნიკაცია მშობლებთან როგორც პირისპირ, ასევე სოციალური ქსელისა თუ ელ. ჟურნალის საშუალებით, სადაც ხდება ინფორმაციის გაცვლა და უკუკავშირის მიღება. ეს პროცედურები გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ ,,კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიასა“ და სხვა დოკუმენტებში. მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. დოკუმენტის მე-3 თავში (გვ. 3) ვკითხულობთ: ,, სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშომლობის რეჟიმში ხდება. ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშორმობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას“. დოკუმენტში ასახულია, თუ ვინ და რა ფორმით მიიღებს მონაწილეობას სასწავლო პროცესის დაგეგმვაში, ვის რა ფუნქცია ექნება; როგორ მოხდება სასწავლო პროცესის შესახებ მონაცემთა შეგროვება და გათვალისწინება; რა ფორმით აღიწერება სწავლა-სწავლების მიზნები, მეთოდები და შეფასების ფორმები. სკოლა ასევე განსაზღვრავს თუ რომელი საკომუნიკაციო არხების საშუალებით შეძლებენ კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას და მათგან უკუკავშირის მიღებას. კერძოდ, გამოიყენებენ სკოლის ვებგვერდს; ელექტრონულ ფოსტას, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემას, სოციალურ მედიას, საჯარო ღონისძიებებს - შეხვედრებს მშობლებთან. საზოგადოებასთან ურთიერთობის წესში, კერძოდ 5.2 პუნქტში ვკითხულობთ: ,,სოციალური ქსელის გვერდი ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიმოქცევის ინტერესს და ასრულებს ორ ძირითად ფუნქციას: ა) საკომუნიკაციო პლატფორმის ფუნქციას, რისთვისაც ხელმისაწვდომს ხდის სკოლის საკონტაქტო ინფორმაციას და ინტერნეტით კომუნიკაციის შესაძლებლობას; ბ) საინფორმაციო ფუნქციას, რისთვისაც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის, სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ სრული ინფორმაციის საჯაროობას;“ სოციალურ პასუხისმგებლობაზე აქცენტი კეთდება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაშიც (გვ. 4), სადაც ვკითხულობთ:

,,სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულ იქნება სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრის საჭიროებები და დაგეგმილი საქმიანობით დადებით წვლილს შეიტანს როგორც სასკოლო, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.“ ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

კურიკულუმის ჩარჩოს შექმნის პროცესში პედაგოგებმა გაითვალისწინეს 2022-2023 სასწავლო წლის ფარგლებში საგნობრივი პროგრამების განხორციელებისას გამოვლენილი ხარვეზები, მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერსები, სურვილები და შესაბამისი შინაარსი ასახეს მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმში. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, აგრეთვე პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესები. წარმოდგენილია კათედრისა და სადამრიგებლო დებულება, სადამრიგებლო პროგრამა, სკოლის მიერ შექმნილი სოციალური ქსელი, სასკოლო პროექტების დოკუმენტაცია, საიდანაც იკვეთება, რომ დაწესებულება ითვალისწინებს მოსწავლეთა და მშობლების ინტერესებს, მასწავლებლების ინიციატივებსა და წინადადებებს. აღსანიშნავია, რომ სკოლას გააზრებული აქვს ამ საკითხის მნიშვნელობა. ახალ კურიკულუმებში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების (მოსწავლე, მასწავლებელი, ადმინისტრაცია, მშობელი, თემი) ინტერესები, პრიორიტეტები, მისი რეალიზების მექანიზმები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმი, რომელის შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ სასკოლო საზოგადოების წევრები, მათ შორის მშობლები და სკოლის ადმინისტრაცია, რაც დასტურდება სასკოლო სასწავლო გეგმით, პედსაბჭოსა (სხდომის ოქმი N1, 04.09.2022) კერძოდ, ინტერვიურებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ტარდებოდა მიზნობრივად დაგეგმილი შეხვედრები სკოლაში კათედრის წევრებთან, პედაგოგები აქტიურად ესწრებოდნენ სასკოლო საზოგადოებისათვის მხარდაჭერის გარე ღონისძიებებს (ტრენინგებს, შესაბამისი საგნობრივი ჯგუფებისთვის გამიზნულ სემინარებს და სხვა). სკოლაში არსებობს მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული დამრიგებლის სამოქმედო გეგმები. მოსწავლეთა ჩართულობით ადგენენ სადამრიგებლო საათის შინაარსს. კლასის ხელმძღვანელების დახმარებით მშობლები ჩართული არიან სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ამისთვის იმართება მშობელთა კრებები, სადაც განიხილება სწავლა-

სწავლების მიზნები, სასკოლო კურიკულუმი, სასწავლო რესურსების გამოყენებისა და შეფასების პრინციპები. ასევე, განიხილება, თუ რა ფაქტორები უწყობს ან უშლის ხელს მშობლების სასწავლო პროცესში ჩართვასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებით მათი შეხედულებებისა და ინტერესების შესწავლას. ამ ეტაპზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში იკვეთება მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების ინტერესების გათვალისწინების მაგალითები და ჩართულობა. სასკოლო საზოგადოების ინტერესები რომ ასახული უნდა იყოს სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში დასტურდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში, კერძოდ მუხლი 2-ში ვკითხულობთ: სკოლის მისიით დასახული მიზნების მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფს ,, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკების, წესების და პროცედურების შემუშავებას, განხორციელებასა და შეფასებას. აღნიშნულ პროცესებში ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის მოსწავლეებს, სკოლის პერსონალის, კურსდამთავრებულების, სასკოლო საზოგადოების და თემის ჩართულობას. ჩართულობა უზრუნველყოფს სკოლაში მიმდინარე პროცესების საჯაროობას, ეფექტიანობას და შედეგზე ორიენტირებას“.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მოწოდებულ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ დოკუმენტებზე დაყრდნობით, შემუშავდა დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები. ამასთან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტიდანაც იკითხება, რომ სასკოლო საზოგადოება მუდმივად ინფორმირებულია სასწავლო პროცესში არსებულ გამოწვევებსა თუ მიღწევებზე, ტარდება ინდივიდუალური შეხვედრები დაინტერესებულ პირებთან, ტარდება მშობელთა კრებები, სოციალური ქსელის გამოყენებით ზიარდება საჭირო ინფორმაცია იმისათვის, რომ სასკოლო კურიკულუმების მიმართ სასკოლო საზოგადოების წევრებს ჰქონდეთ მეტი მიკუთვნებულობის განცდა. სკოლა იაზრებს სასკოლო საზოგადოების როლს არსებული კურიკულუმების გაზიარებაში და ამ გზით ხარისხიანი სასწავლო პროცესის წარმართვაში. კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში, მუხლი 3, პუნქტი 2, (გვ.6) ვკითხულობთ: ,,საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხი გამომდინარეობს სასკოლო საზოგადოების წევრთა კომპეტენციისგან, პასუხისმგელობისგან და ეთიკური ქცევისგან.“ სკოლა გამოხატავს მზაობას, მხარი დაუჭიროს მოსწავლეთა ინიციატივებს, პრობლემების იდენტიფიცირებას, ინდივიდუალური საჭიროებებისა და

შესაძლებლობების გამოვლენას, უზრუნველყოს სასკოლო ცხოვრებაში მათი ჩართულობა, ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ: **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;

საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი;

სკოლის მიერ შექმნილი სოციალური ქსელი;

სადამრიგებლო დებულება;

სასკოლო პროექტების დოკუმენტაცია;

მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი;

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;

საბჭოს სხდომის ოქმი (N1, 04.09.2022).

2.1.4. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგანაც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ, ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაძლებლობებს. შემუშავებულ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის წინარე ცოდნა, კონსტრუქტივიზმზე დაშენებული ცოდნის მიღება. საბაზო საფეხურის უცხო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, თემები და კომპლექსური დავალებები ეყრდნობა მოსწავლეთა და მასწავლებელთა წინარე გამოცდილებას და პრაქტიკას. რაც განაპირობებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესში. უცხო ენის საბაზო საფეხურის საგნების კურიკულუმის ჩარჩოში, ცხრილებში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სავალდებულო თემები, საკითხები და ცნებები და ქვეცნებები შევსებულია მართებულად, ასევე სწორად არის ჩამოყალიბებული კომპლექსური დავალების იდეები და კონტექსტ მაგალითები **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის/მტკიცებულებების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები, დაფარულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, რაც ორიანტირდება გლობალურ ფუნქციური უნარების ხელშეწყობასა და განვითარებაზე კომპლექსური ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ გააქტიურებას , არამედ ხელს უწყობს მათ გააზრებასა და გაცნობიერებაში კურიკულუმში ასახული საგნობრივი საკითხები, რესურსები,

კონტექსტ-მაგალითები და კომპლექსური დავალებების იდეები იძლევა გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) და მაკრო ცნებების გააქტიურების საფუძველს,. ასევე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიან მიზნებს, მაკრო ცნებებსა და ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებს. ყურადღება ექცევა საგანთა შორის ინტეგრირებას, როგორც ფორმალური ასევე, არაფორმალური განათლების ფარგლებში. რასაც ადასტურებს მოსწავლეებზე ორიენტირებული გაკვეთილები და პროექტები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია,რომ სკოლაში სასწავლო პროცესი მეტნაკლებად იგეგმება დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებით,რაც გულისხმობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასაწავლო პროცესში. ზოგიერთ საგანში სწავლა-სწავლების პროცესი ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის პროგრესზე.ამ მიზნით სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია დიფერენცირებული სწავლა-სწავლების ძირითადი პრინციპები და სტრატეგიები: მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები, საჭიროებები, შესაძლებლობები. შეთავაზებულია სასწავლო მასალები და რესურსები,რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას. მასწავლებელი საკითხის დამუშავებისას მოსწავლს აძლევს არჩევანის უფლებას, წარმოადგინოს დავალება სასურველი ფორმატით (ესე,პოსტერი,პრეზენტაცია ,კომიქსი). ასევე ,ტარდება გაკვეთილები დიფერენცირებული მიდგომების სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით(სასწავლო მენიუ,გაჩერებებით სწავლა,რაფთი და სხვა).ამ გზით იქმნება მრავალფეროვანი პროდუქტები და მოსწავლეებსაც საშუალება ეძლევა, გამოხატოს თავისი ცოდნა სრული ფორმატით. მომავალი სასწავლო წლიდან ამ მიმართულებით სკოლა აქვს მზაობა უზრუნველყოს თითოეული მოსწავლის მაქსიმალური ჩართულობა სასწავლო პროცესში. დაბალი მზაობის მოსწავლეებისთვის შეიქმნება კომპლექსური დავალებების ადაპტირებული ვერსიები. (ამ ეტაპზე სკოლაში სსსმ მოსწავლე არ არის) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. ავტორიზაციის განაცხადის ეტაპზე მოხერხდა განმსაზრვრელი და განმავითრებელი შეფასების რუბრიკის შემუშავება.

განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს და ცდილობს უკუკავშირი მასზე დაფუძნებით განახორციელოს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გაწერილია მოსწავლის შეფასების ამოცანები და მიზნები. მოსწავლე ფასდება არა მხოლოდ სწავლების შედეგით, არამედ სწავლის პროცესში მისი აქტიურობით, ჩართულობით, უნარებით და შესაძლებლობებით. შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებით მაგ.: განმავითარებელი კომენტარი, ზეპირი და წერილობითი უკუკავშირები,. მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, იგივე დადასტურდა კათედრის წევრებთან გასაუბრების დროსაც. საბაზო საფეხურზე, ამ ეტაპზე, სკოლა განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს მისდევს. შესაბამისად მასწავლებლები იყენებენ როგორც ანალიტიკური, ასევე ჰოლისტური შეფასების რუბრიკებს. მაგ.: შემაჯამებელი დავალების, პრეზენტაციის, დისკუსის, საკლასო და საშინაო დავალების და სხვ. მომდევნო სასწავლო წლისთვის არჩეულ იქნა შეფასების მეორე მოდელი **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სასკოლო კურიკულუმისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას. მიუხედავად იმისა რომ სკოლა ჩართული არ იყო ახალი სკოლის მოდელში, რამდენიმე მასწავლებელმა მოისმინა შესაბამისი ვებინარები და დაიწყო კომპლექსური დავალებების განხორციელება თავის საკლასო სივრცეში,დაუგროვდათ საინტერესო გამოცდილება ,რაც ასეხულია მათს პორთფოლიოებში.ამ წარმატებულ გამოცდილებას სკოლა ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში. სასწავლო წლის ბოლოს შეაფასებენ მასწავლებელთა პორტფოლოიებს ,მოსწავლეთა ნამუშევრებს,დავალებებს სკოლა გეგმავს ასევე კვლევის განხორციელებას კითხვარების საშუალებით. კვლევის შედეგების , წინარე გამოცდილების (წარმატებისა და გამოწვევების) გათვალისწინებით, სასკოლო კურიკულუმი გადამუშავდება და განახლდება ვკითხულობთ სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ,რომ სკოლას გააჩნია მზაობა მომავალში სასწავლო პროცესები დაგეგმოს წინარე გამოცდელებებისა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის თვითშეფასების ფორმა

საგნობრივი კურიკულუმები

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

რესურსი N12;

მასწავლებელთა პორთფოლიოები

ასწავლებლებთან გასუბრება

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ჩქვალერის საჯარო სკოლის პედაგოგების მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები კონტექსტ-მაგალითის სახით და კომპლექსური დავალება იდეის დონეზე. კომპლექსური დავალების კონტექსტ-მაგალითი, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია პრობლემის, დილემის გადაჭრაზე, მოსწავლეებს დააფიქრებს, შემოქმედებით პროცესში ჩართავს, ერთი და იგივე კონტექსტ-მაგალითი მოსწავლეებმა შეიძლება სხვადასხვა კუთხით განიხილონ, პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზა მოძებნონ, გამოთქვან ვარაუდები, მოსაზრებები და შექმნან სხვადასხვა ვარიაციები, რაც ხელს უწყობს მათ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. როგორც ვიზიტის დროს პედაგოგების მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალების მატრიცებიდან გაირკვა, კურიკულუმში ჩაშენებულია მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის სხვადასხვა, მათ შორის შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. შემოქმედებით უნარებს ავითარებს პროდუქტის შექმნაც, მოსწავლეები ქმნიან ბუკლეტებს, პოსტერებს, პრეზენტაციებს, პლაკატებს, წერენ სამეცნიერო სტატიებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, სხვადასხვა სახის ელექტრონულ რესურსებს, ვირტუალურ ლაბორატორიას, სკოლას აქვს კომპიუტერების ოთახი, რომელსაც მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად აქტიურად იყენებენ. გეგმავენ და ახორციელებენ ტექნოლოგიების გამოყენებით მრავალფეროვან აქტივობებს. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ მიმდინარე წელს პედაგოგები უფრო კომპლექსურად მიუდგებიან სასწავლო პროცესს და ყველა მასწავლებელი ერთნაირად შეეცდება რომ სასწავლო პროცესი მუდმივად იყოს ინტერაქტიური,

განახლებადი და შემეცნებითი. სკოლაში მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. მათი შემოქმედებითი უნარები განსაკუთრებით წარ,ოჩინდება სკოლის მიერ დაგეგმილ პროექტებში, აქტივობებში, არაფორმალურ საგანმანათლებლო/კულტურული/სპორტულ ღონისძიებებში. მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარები ჩანს მათ მიერ შექმნილ ნახატებში, რომლებიც ამშვენებდა სკოლის კედლებს, სხვადასხვა პროექტის დროს დამზადებულ ხელთნაკეთ ნივთებში, ფოტო-მასალაში და სხვა. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური გარემო, მოსწავლეებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება/რეალიზება. **ინდიკატორი შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. ჩქვალერის საჯარო სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები თემატური დაგეგმვისას აქცენტს აკეთებენ ისეთი კომლექსური დავალებების შერჩევაზე, სადაც კონტექსტი მოსწავლისთვის არის ნაცნობი, მოსწავლეს უადვილდება მისთვის ნაცნობი პრობლემის გადაჭრა. შეუძლიათ შექმნან და წარმოადგინონ მსგავსი საინტერესო პროდუქტი. ეს კარგად ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილ ეტაპებში, რომელიც მოსწავლეს უადვილებს ახალი ინფორმაცია დაუკავშიროს წინარე ცოდნას და ისე გაიაზროს საკითხი. ეტაპები ისეა გააზრებული, რომ ყოველი ეტაპი საფუძველია მომდევნო ეტაპისათვის, რაც უქმნის მოსწავლეს შესაძლებლობას, რომ მისი გამოცდილება იყოს უწყვეტი. კურიკულუმებში სრულად გააზრებული და გათვალისწინებულია მოსწავლეების წინარე გამოცდილება, რომელიც ეყრდნობა კონსტრუქტივისტულ პრინციპს. მასწავლებელთა თქმით, ისინი აპირებენ, კონსტრუქტივისტული მიდგომით(წინარე ცოდნაზე ახლის დაშენებით) გრძელვადიან მიზნებთან-ცნებებთან მიმართებით შექმნან შემაჯამებელი დავალების ტესტები, ასევე საკლასო/საშინაო დავალებები ისე იყოს შედგენილი, რომ ასახავდეს ცოდნის შექნან რომ მათი მუშაობა დაეყრდნოს პროექტულ სწავლებას, სადამრიგებლო საათებში ასახული იქნება ის თემები და აქტივობები, რომელიც დახმარებას გაუწევს მოსწავლეებს, დაინახონ კავშირი ცხოვრებასთან. სწავლების პროცესისადმი ასეთი მიდგომა ეყრდნობა კონსტრუქტივისტულ სწავლებას, რომლის ძირითადი მიზანია მოსწავლეებს განუვითაროს ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით ახალი ინფორმაციის შეგროვება, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, დამოუკიდებლად აზროვნება, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით პრობლემის გადაჭრა და ძველზე დაშენებით ახალი ცოდნის კონსტრუირება – შენება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, თუ როგორ იყენებენ კონსტრუქტივიზმის პრინციპს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. ჩქვალერის საჯარო სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ, როგორ მიმართონ აქცენტები მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებისკენ, მათ აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალების მიმდინარეობა იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მოსწავლემ შეძლოს და გააცნობიეროს საკუთარი სწავლის პროცესის მართვა. შეაფასოს და გააკეთოს მონიტორინგი . მოსწავლეს დავალების შესრულების ეტაპზე უწევს კონკრეტულ პრობლემასთან გამკლავება, მისი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიების მოძებნა და გამოყენება, პრეზენტაციის დროს მოსწავლე საუბრობს მის მიერ შესრულებულ დავალებაზე, რა გაუჭირდა, რომელი სტრატეგია უფრო დაეხმარა, რა მიგნებები გამოიკვეთა, რომელიც სამომავლოდ უნდა გაითვალისწინოს. ეს პროცესი, რომელიც მეორდება ყოველი პრეზენტაციის დროს, მოსწავლეს განუვითარებს მეტაკოგნიტურ უნარებს, ეცოდინება, რა მეთოდები და სტრატეგიები მიიყვანს უკეთ ცოდნის შეძენამდე, ამასვე ემსახურება გაკვეთილის პროცესში გამოყენებული ე.წ. გასასვლელ ბარათები, თვითშეფასების ტესტები. ბუნებისმეტყველების კათედრა გეგმავს კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, ერთი და იგივე კრიტერიუმი მუშავდება მრავალფეროვანი აქტივობებით, ინფორმაცია მიეწოდებათ ცხრილების, დიაგრამების საშუალებით, გრაფიკულად, მოდელებით, მათემატიკური ფორმულებით და სხვა, რაც ემსახურება ერთის მხრივ, დიფერენცირებულ მიდგომებს, მეორეს მხრივ მოსწავლეს ეძლევა საშუალება, შეადაროს დაგეგმილი აქტივობები, გააკეთოს არჩევანი, ანუ ის თავად იყოს პასუხისმგებელი საკუთარი სწავლის პროცესზე. ამ უნარებს ივითარებს მოსწავლე პროექტული სწავლების, წრეობრივი მუშაობის, კომპლექსური დავალებებით სწავლების დროს. მოსწავლე სწავლობს, როგორ დაგეგმოს საკუთარი სწავლა-სწავლების პროცესი. **ინდიკატორი შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. ჩქვალერის საჯარო სკოლის პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ მათი საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემული თემები/საკითხები, მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). წარმოდგენილი აქტივობები მოსწავლისგან მოითხოვს არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას, არამედ პროცედურულსაც და პირობისეულსაც. მაგალითად, კომპლექსური დავალების მიხედვით „ ხსნართა ნაჯერობა და კონცენტრაცია“, მოსწავლეებმა სახელმძღვანელოდან უნდა მიიღონ დეკლარატიული ცოდნა ხსნარების შესახებ, უნდა შეასრულონ პროცედურები, კერძოდ დაამზადონ ნაჯერი, უჯერი, ზენაჯერი, სხვადასხვა კონცენტრაციის ხსნარები, მიღებული ცოდნა დაუკავშირონ ყოფა-ცხოვრებას, განმარტონ, რა მნიშვნელობა აქვს ხსნართა ნაჯერობას და კონცენტრაციას ყოფა-ცხოვრებაში, როგორ უნდა დაამზადონ მაგ.ფიზიოლოგიური ხსნარი? შექმნან პრეზენტაცია რომელსაც

წარმოადგენენ აუდიტორიის წინაშე, თუმცა სკოლაში ლაბორატორიის უქონლობა საბუნებისმეტყველო საგნებში ვერ უზრუნველყოფს პროცედურების ჩატარებას და შესაბამისად ვერ მოხდება მოსწავლის უზრუნველყოფა პირობისეული ცოდნით. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებები აცნობიერებენ ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარების საჭიროებას და 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსური დავალება ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. იმედია სკოლას უახლოეს მომავალში ექნება სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია, რაც დაეხმარება მოსწავლეებს პირობისეული, სიღრმისეული ცოდნის მიღებაში. **რჩევა:** სასურველია, სკოლამ იზრუნოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის შექმნაზე, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვაზე: შეავსოს ლაბორატორიული ჭურჭელი, ხელსაწყო, ნივთიერებები და ა.შ.. გარდა ამისა, მოსწავლისა და მასწავლებლის უსაფრთხოების მიზნით სკოლამ უზრუნველყოს ლაბორატორიაში მცირე წონის ფხვნილოვანი ცეცხლმაქრის არსებობა და ცეცხლგამძლე სადემონსტრაციო მაგიდის, ჰაერის გამწოვი სპეციალური კარადის დამონტაჟება. **ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. ჩქვალერის საჯარო სკოლის პედაგოგები პირად შეხვედრებსა და საგნობრივ ოქმებში აფიქსირებენ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას, დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რათა მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. ცოდნის სამი კატეგორია და ცოდნათა ურთიერთდაკავშირება მოსწავლეებში სიღრმისეული ცოდნის მიღების წინაპირობაა, ამიტომ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებით პედაგოგები ეხმარებიან მისწავლეებს სიღრმისეული, ხარისხიანი ცოდნის მიღებაში. პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგები შექმნიან კომპლექსური ბუნების შემაჯამებელ ტესტებს, გრძელვადიანი მიზნების-ცნებების მიმართ, რომელიც მიმართული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიის გააზრებაზე, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაზე. შესაბამისად მოხდება სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული სამიზნე ცოდნების ურთიერთდაკავშირებულად შესწავლა. გაითვალისწინებენ მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს, შექმნიან კეთილგანწყობილ, ინკლუზიურ გარემოს. ასეთი მიდგომით მოსწავლეებში გაიზრდება მოტივაცია, გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები, რაც წარმატებული სწავლის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორია. საბაზო საფეხურის მასწავლებლები ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, მოსწავლეებს რთავენ პროექტულ სწავლებაში, რაც მოსწავლეში ცოდნის ურთიერთდაკავშირებას უწყობს ხელს. პედაგოგებს

აქვთ მზაობა, აღნიშნული მიდგომები, წინარე გამოცდილება და ახალი მიგნებები გათვალისწინებულ იქნას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებე

- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- სასწავლო პროექტები;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები.
- მასწავლებლის პორტფოლიო.
- მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი.
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა
- კურიკულუმის ჩარჩო;
- კათედრის ოქმი, გადაწყვეტილება
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებსა (რესურსებს,მასალას) და საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. მნიშვნელოვანია რეალიზებული კომპლექსური დავალებები და მათზე რეფლექსია, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, აგრეთვე, საგაკვეთილო აქტივობები გააზრებული უნდა იყოს მიზანზე. წარმოდგენილი დოკუმენტებითა და პედაგოგებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. სკოლის მიერ მიერ წარმოდგენილია საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო X, XI და XII კლასებისთვის, რომელშიც გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას გაამახვილებენ არა

მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ემპათიური გრძნობების ჩამოყალიბებისათვის, ფსიქოსოციალური განვითარებისათვის სკოლის მიერ განხორციელებული პროექტები, სხვადასხვა ტიპის ღონისძიება ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ ზრდას, ფსიქო-სოციალურ განვითარებას, მოსწავლეებში ემპათიის გრძნობის გაზარდას. სკოლას წარმოდგენილი აქვს სადამრიგებლო პროგრამა, სადაც მკაფიოდაა გაწერილი დამრიგებლის როლი მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. **აღნიშნული ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან და აქვთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება, ამასთანავე წარმოდგენილია კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე დაფუძნებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, განმსაზღვრელი შეფასების ზოგადი რუბრიკები. კათედრის სხდომებზე იხილავენ შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმებს. ათედრა ახალ სასწავლო წელს გეგმავს სადიაგნოსტიკო წერის ჩატარებას ყველა კლასში. მოსწავლეებისთვის მიმართავენ ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკებს. პედაგოგები მზად არიან, მუშაობა გააგრძელონ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მიმართულებით ყველა თემასთან მიმართებით, აკვირდებიან მოსწავლეთა მიღწევებს, გეგმავენ და ახორციელებენ შემაჯამებელ ტესტირებებს . **აღნიშნული ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია კათედრის განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები , რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს, შესაბამისად. შეფასება არის ვალიდური და სანდო. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით ყველა თემატურ ერთეულზე მორგებულია ავთენტური შეფასების რუბრიკები,რომელიც პასუხობს ესგ-ის საგნობრივ და მიემართება გრლევადიანი მიზნებისკენ-ცნებებისკენ . შეფასების რუბრიკების გაზიარება სასკოლოს საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობით უზრუნველყოფს გამჭირვალეობას, ობიექტურობას და სამართლიანობას. სასკოლო საზოგადოებას დაკვირვების საშუალება მიეცემა გაზიარების შემდეგ. ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

7. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტში/ დანართებში იკითხება, რომ სკოლაში არსებობს შეფასების სისტემა, რომლითაც ხდება მოსწავლეთა მიღწევების შეფასება და პროცესის ანალიზი. სამომავლოდ სკოლა დახვეწს და შემიმუშავებს შეფასების ვერიფიკაციის ისეთ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს საფეხურის შედეგების სტატისტიკურ ანალიზს . **ინდიკატორი შეფასდა როგორც დადებითი.**

8. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

სკოლა მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას , ამ ეტაპზე სკოლა მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. თუმცა გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა მომავალში იზრუნებს ამ საკითხის მოგვარებაზე და უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. შესაბამისად გამოიკვეთა სკოლის მზაობა ამ საკითხთან მიმართებაში,რაც მაძლევს საშუალებას **ინდიკატორი შევაფასო დადებითად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმი;

სასწავლო პროექტები;

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

ჩატარებული ვერიფიკაციის

დამადასტურებელი

დოკუმენტაცია;

მოსწავლეთა მიერ

შესრულებული დავალებები;

სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები;

შეფასების მასალები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მხარდამჭერ და მიმღებლობით სასწავლო გარემოს. კურიკულუმზე მუშაობისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, უნარები, ასევე მშობელთა ინტერესები. გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას რომ იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა , იგეგმება და ხორციელდება საკლასო და სასკოლო ღონისძიებები, არაფორმალური განათლება მოსწავლეს უჩენს ნდობის, დაცულობის, მიმღებლობის განცდას. ამას ადასტურებს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე ორიენტირებული თანამშრომლობა. მასწავლებლებს შორის ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, რჩევების მიცემა და გამოცდილების გაზიარება. პედაგოგების მიერ კოლეგების მიმართ გაცემული უკუკავშირი ძირითადად პროგრესსა და განვითარებაზეა ორიენტირებული. სკოლაში შემუშავებული აქვთ მოსწავლეთა ინიციატივების-მხარდაჭერის დოკუმენტი, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეების მიზანია მოსწავლეთა მხარდაჭერის, ინფორმირებულობის, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის ხელშეწყობა, არსებული

სირთულეების, საჭიროებები და ინიციატივების იდენტიფიცირების მიზნით შესაბამის ღონისძიებებისა და აქტივობების განხორციელება. ასევე შემუშავებული აქვთ პერსონალისადაპტაციის წესის მარეგულირებელი დოკუმენტი. ეს ყველაფერი, კი მხარდამჭერი და პოზიტიური გარემოს დასტურია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. სწავლა ხორციელდება მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე. კომპლექსური დავალებების შესრულებისას გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები, რა შეუძლია მას. სკოლა ახორციელებს სხვადასხვა სახის სასწავლო პროექტებს, ატარებს ღონისძიებებს და გეგმავს ექსკურსიებს. მშობლებში, მოსწავლეებსა და მასწავლებლებში პერიოდულად ხორციელდება საჭიროებების და ინტერესების გამოკითხვა და ანალიზი. სწავლება მიმდინარეობს კომპლექსური დავალებების მეშვეობით, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, რომლის ნებისმიერი აზრი მისაღები და წახალისებულია მასწავლებლის მიერ. სკოლას გააზრებული აქვს, რომ საშუალო საფეხურზე მნიშვნელოვანი ასპექტია მოსწავლის საჭიროების მუდმივი მონიტორინგი, მათი ინეტერსების იდენტიფიცირება და შესაფერისი აქტივობების დაგეგმვა. ამიტომაც, სამომავლოდ ამ მიმართულებით გეგმავს მეტად გააქტიურებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. დაგეგმილი კურიკულუმები მიზანმიმართულია მოსწავლეთა გლობალური ფუნქციური უნარების, მათ შორის კოლაბორაციისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე. გასაუბრებებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება სასწავლო პროცესში სხვადასხვა აქტივობები ისე წარმართონ, რომ შეიქმნას პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო. სკოლაში დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა შესაძლებლობას ქმნის ერთობლივად განისაზღვროს წარმატებების წინაპირობები და პრობლემების გადაჭრის გზები, ასევე წარიმართოს სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის სხვადასხვა პერსპექტივიდან ჩართვას კურიკულუმის შემუშავებაში. სკოლისთვის დამახასიათებელი თანამშრომლობა და გუნდურობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. კურიკულუმებში მოცემული საკითხები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში. განმავითარებელი შეფასებებისა და კომენტარების საშუალებით კი ხდება მოსწავლეთა მხარდაჭერა სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში. მასწავლებლებს კარგად აქვთ გაცნობიერებული კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარების, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრისა და

პრობლემების გადაჭრის გზების ძიების, სხვა საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობის აუცილებლობა, რომ სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია არა ერთი ან ორი პედაგოგის ჩართულობა არამედ იმ გუნდის რომელსაც მთლიანი სასკოლო საზოგადოება წარმოადგენს.წარმოდგენილი კურიკუუკმებიდან და ინტერვიუდან იკვეთება , რომ მუდმივი ზრუნვის საგანია პოზიტიური კლიმატის შენარჩუნება კლასის, სკოლის დონეზე რაც თავისთავად შემდგომ პოზიტიურ ასახვას ჰპოვებს სკოლის დონეზეც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლეთა-ინიციატივების-მხარდაჭერის-წესის მარეგულირებელი დოკუმენტი

საშუალო საფეხურის კურიკულუმი

პროექტები,

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა

საჯარო სკოლის სტარტეგიული განვითარების გეგმა;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;

შენიშვნა: იმის გათვალისწინებით, რომ სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია შესაბამისი აღჭურვილობით, სკოლა სრულფასოვნად ვერ უზრუნველყოფს საშუალო საფეხურის კურიკულუმის განხორციელებას. ამასთან, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, არაუმეტეს 2024 წლის 24 აგვისტომდე დაწესებულებას დაგეგმილი აქვს ხარვეზის აღმოფხვრა, რაც რეალისტურად მიიჩნია ექსპერტთა ჯგუფმა და დაწესებულება კომპონენტთან მიმართებით შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შეიძლება დაისკვნას, რომ მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რადგან საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც სხვა ასპექტებთან ერთად, ხაზგასმულია, ვინ და როგორ არის პასუხისმგებელი სასწავლო პროცესის მონიტორინგზე. ამასთან, სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის საქმიანობაც გულისხმობს სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობას, კოლეგების მხარდაჭერას, დროული და ეფექტიანი უკუკავშირის გაცემას. როგორც გასაუბრებისას აღნიშნეს, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში ყველა საგნობრივ კათედრას დაესწრო საგნობრივი ექსპერტი, გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები, დაიგეგმა და განხორციელდა კომპლექსური დავალებები, რამაც შეასრულა განმავითარებელი შეფასების ფუნქცია. ამდენად, კრიტერიუმის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. კათედრის წევრების მიერ ურთიერთდასწრებისა თუ პროფესიული პორტფოლიოს გაზიარების პრაქტიკა იმის მაგალითია, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთას მათი დაძლევის და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. ამას ადასტურებს სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია. ამასთან, როგორც გასაუბრებიდან ირკვევა, მასწავლებლებს აქვთ საშუალება, შეარჩიონ მათი პროფესიული განვითარებისთვის მიზანშეწონილი ტრენინგ-მოდული, დირექცია ხელს უწყობს თანამშრომლებს, მონაწილეობა მიიღონ პროფესიული განვითარების სხვადასხვა ღონისძიებაში, მაგალითად, ეროვნული თუ საერთაშორისო კონფერენცია. ამდენად, კრიტერიუმის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება რომ პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას განსაზღვრავს დასტურდება იმით, რომ კათედრას შერჩეული აქვს სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც, ერთი მხრივ, დააკვირდება, რა ცოდნა აქვთ მოსწავლეებს საფეხურის სამიზნე ცნებებთან მიმართებით, მეორე მხრივ, გამოკვეთს ტიპურ პრობლემებს და დაგეგმავს აქტივობებს მათ გადასაჭრელად. რაც შეეხება თავად მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, კოლეგისგან მიღებული უკუკავშირი, ურთიერდასწრება, კათედრის სხდომებზე სასწავლო პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესახებ მსჯელობა, მოსწავლეების მიღწევების ერთობლივი ანალიზი, როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ, სასწავლო პროცესის ნაწილია.

დაასახელეს კიდეც კონკრეტული მაგალითები, როცა კოლეგის თუ საგნობრივი ექსპერტის შეფასება-რეკომენდაცია გაითვალისწინეს პრობლემის გადაჭრისას ან მოსწავლეთა ნამუშევრების საფუძველზე, ერთობლივად დაგეგმეს კონკრეტული აქტივობები. ამდენად, კრიტერიუმის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის სხდომის ოქმები;
- წლიური სამოქმედო გეგმა.
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება)

მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. მიმდინარე განმავითარებელი შეფასების სისტემატიური გამოყენება სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავების გზით დაეხმარება მოსწავლეებს განივითარონ და დახვეწონ თავიანთი უნარები.

(ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია).

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ შეფასების სისტემა კომპლექსურია და მოიცავს ბევრ სხვადასხვა მიმართულებას. მოსწავლე არ ფასდება ცალსახად მხოლოდ მის მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე, არამედ ხდება ბევრი სხვა ფაქტორის გათვალისწინებაც. მასწავლებლებმა შეხვედრისას აღნიშნეს, რომ საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით, როგორიცაა ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური პრეზენტაცია, მოსწავლეზე დაკვირვება. შეფასებაც ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას, ურთიერთშეფასებასა და თვითმონიტორინგს. შეფასება ეხმარება მოსწავლეებს_ მუშაობის პროცესში გამოვლენილი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გაცნობიერებაში. კათედრაზე გამოიყენება, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. შემუშავებულია შეფასების რუბრიკები, ჩამოყალიბებულია შეფასების კრიტერიუმები.

_(ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია).

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით კათედრა ახორციელებს მრავალმხრივ მიდგომებს და იყენებს ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიც არის: მოსწავლეზე დაკვირვება, მოკლე ჩანაწერების გაკეთება, ტესტირება, სიტყვიერი კომენტარი, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, კითხვარი და სხვა. მასწავლებლებმა შეხვედრისას აღნიშნეს, რომ ეს მეთოდები მათ საშუალებას აძლევს დაადგინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და უზრუნველყონ შეფასებისადმი ჰოლისტური მიდგომა.

(ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია).

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

კათედრა მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით შეფასებას ახორციელებს კომპლექსურად, მოსწავლე არ ფასდება ცალსახად მხოლოდ მის მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე, არამედ ხდება ბევრი სხვა ფაქტორის გათვალისწინებაც. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეზე დაკვირვება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენება სწორედ ამის საშუალებას იძლევა. სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა მორგებულია თითოეული მოსწავლის ინტერესებზე ინდივიდუალურად და შეფასების შედეგად ხდება თითოეული მოსწავლის ცოდნის დადებითი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი ნაწილის შესახებ ინფორმაციის მიღება.

(ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია).

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- მასწავლებლებთან ინტერვიუ;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პედაგოგებთან გასუბრებისას და წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ასახულია კურიკულუმის განვითარების ძირითადი პრინციპები, რომელებიც დაკავშირებულია სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების გადასინჯვასთან და რევიზიის პროცესთან. პედაგოგების მიერ ინტერვიუს დროს აღნიშნული იყო, რომ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია განხორციელდება კათედრის სხდომებზე, სადაც წევრები გაცვლიან კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების შესახებ მონაცემსა და გამოცდილებას, ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ მონაცემების შეჯერების საფუძველზე შეიქმნება მომდევნო წლისთვის წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის განვითარებისთვის და დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებელია**

2. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნას.პედაგოგებმა აღნიშნეს , რომ ახალი სასწავლო წლისთვის შექმნილი კურიკულუმი არის მოსწავლეზე ორიენტირებული, გათალისწინებულია სწავლების დიფერენცირებული მიდგომები, უფრო მეტად არის მოქნილი და მორგებული სწავლების გრძელვადიან მიზნებზე,

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი: 1 (ერთი) დაარქივებული ფაილი (სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა, თანდართული მტკიცებულებებით).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

29.11.2023 წ.

თარიღი